გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ეხმიანება

ვერსია

60 თვითრი

№128 (1154) 14 - 15 დეკემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

საქართველოს „ლორის გრიპი“ ისევ უტევს?

„გრიპი გრიპია, გინდ ლორის იყოს და გინდ — ბეჰემოთის!“

გვ. 8

ელენე თევდორაძე პატიმრებისგან ფულის გამოძალვის ახალ ფაქტებს ასაჯარიებს!

გვ. 4-5

„პატიმრის დედას ვკითხე, პოლიტპატიმართა სიაში მისი შვილი რატომ არ შეიყვანეს და მიპასუხა, ქალბატონო ელენე, ისეთი თანხა მთხოვეს, რომელიც არ მქონდა“

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

„რუსთავი 2“ „მაესტროს“ სარეკლამო დროს ყიდულობს?!

გვ. 3

„ვერსიამ“ კუდუარული მოდაპარაკების დეტალები გაარკვია

ბორჯომელი ედიკა 60 წლის რუს „ნაშასთან“ „ზასაობისთვის“ 4 წლით დააპატიმრეს

ძარცვა სიყვარულის სახელით

გვ. 8

პატიმრის დღიური

საპატრიარქოს ბიზნესები

არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, საპატრიარქოს ბიზნესკომპანიები გადასახადებისგან გათავისუფლებულია

გვ. 6

გვ. 9

„გალთ&თაგარტმა“ და პაშა ბანკმა ქართულ საფონდო ბირჟაზე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ობლიგაციები განათავსეს

მამუკა მდინარაძე: „მოსამართლეები უნდა გავაკრიტიკოთ, მაგრამ მათზე ზეწოლა და შანტაჟი გაუმართლებელია!“

გვ. 7

საქართველოში ჩინეთიდან პირველი მატარებელი შემოვიდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს სჯერა, რომ „აბრეშუმის გზის“ პროექტი საქართველოში მეტ ინვესტიციასა და მეტ სატაბილურობას მოიტანს. ამის შესახებ ირაკლი ღარიბაშვილმა ჩინეთის პორტ ლიანუნგიანის ტერმინალიდან გამოსული პირველი სატრანზიტო მატარებლის შემოსვლისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე განაცხადა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, „აბრეშუმის გზა“ არის იაფი და ყველაზე მოკლე, ხუთჯერ შემცირებული გზა აზიასა და ევროპას შორის.

„ჩვენი ქვეყანა ამ მარშრუტის უმოკლეს ნაწილს წარმოადგენს. ეს მარშრუტი ჩვენ გვაძლევს დამატებით შანსს, გავხდეთ მსოფლიო ეკონომიკური მოვლენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილე. „აბრეშუმის გზა“ არის ერთ სარტყელში განლაგებული პარტნიორი ქვეყნების დამატებითი ბიძგი, პოლიტიკური, კულტურული, ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებისთვის.

მჯერა, ეს პროექტი ჩვენს ქვეყანაში მოიტანს მეტ ინვესტიციას, მეტ სტაბილურობასა და მეტ დასაქმებას, კეთილდღეობას ჩვენი მოსახლეობისთვის. მჯერა, „აბრეშუმის გზის“ პროექტის საშუალებით, საქართველო გახდება მულტირეგიონული ცენტრი, რომელიც დააკავშირებს ევროპას, აღმოსავლეთ აზიას, ინდოეთს, ცენტრალურ აზიას და შუა აღმოსავლეთს“, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ეს არის ხელისუფლების გონივრული, პრაგმატული პოლიტიკის გაგრძელება: **„სწორედ ასეთი გონივრული პოლიტიკით ჩვენ შეგვიძლია, ჩვენი ქვეყანა გახდეს ძალიან მიმზიდველი ინვესტიციებისთვის და გახდეს მართლაც რეგიონული ჰაბი“.**

პრემიერმა მადლობა გადაუხადა ელჩებს, რომლებიც ღონისძიებას ესწრებოდნენ, „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელ მამუკა ბახტაძეს, მის გუნდსა და ყველა რკინიგზელს ამ პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის:

„მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ყველას შეგახსენოთ, რომ 13 ივნისს, თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შემდეგ, სარეაბილიტაციო სამუშაოებში აქტიურად ჩაერთნენ ჩვენი რკინიგზელები და მინდა მათ კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო“.

„მზად ვართ, „აბრეშუმის გზის“ ეკონომიკური სარტყლის ფარგლებში უფრო გავაძლიეროთ საქართველოსთან თანამშრომლობა, შემოვიდეს მეტი ინვესტიცია და გავაძლიეროთ ურთიერთობები ჰუმანიტარულ სფეროებში“, — ამის შესახებ ჩინეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში ძიაო ჰუი სინიმ განაცხადა და დასძინა: **„მინდა, გულითადად მოგილოცოთ, რომ ჩინეთიდან შუა აზიის, კასპიის ზღვის რეგიონის და კავკასიის გავლით ევროპის მიმართულებით წარმატებით ჩამოვიდა სატვირთო მატარებელი. ეს ორი წლის წინ ჩინეთის პრეზიდენტის მიერ წამოყენებული ინიციატივის შედეგად მიღებული ძალიან მნიშვნელოვანი რეზულტატია. მინდა ჩინეთის საელჩოს სახელით საქართველოს მადლობა გადავუხადო ამ პროექტის განხორციელებაში შეტანილი დიდი წვლილისთვის. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო მატარებლის დღეს შემოსვლის მნიშვნელობა — მან დააკავშირა ჩინეთი, შუა აზიის ქვეყნები, კავკასიის და ევროპის ქვეყნები ერთმანეთს. ეს მომავალში მოგვცემს ბევრ შესაძლებლობას, რათა უფრო განვავითაროთ ურთიერთობები“.**

ჩინელი დიპლომატის თქმით, „აბრეშუმის გზის“ ეკონომიკური სარტყლის პროექტის ფარგლებში სარტყლის გასწვრივ მდებარე ქვეყნებს შესაძლებლობა ექნებათ, უკეთ განავითარონ ეკონომიკა, სოციალური მდგომარეობა და ამ ქვეყნებში იყოს მშვიდობა. მისივე შეფასებით, საქართველოს გავლით ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი გზა უმოკლესი და ყველაზე იაფია, რომელიც ძველ აბრეშუმის გზაზე გადის:

„ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს პერიოდი ჩინეთისა და საქართველოს ურთიერთობების განვითარების ისტორიაში საუკეთესოა. ჩინეთი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოსთან ურთიერთობის განვითარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობა. საქართველოს გავლით ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი გზა არის უმოკლესი და ყველაზე იაფი, რომელიც ძველ აბრეშუმის გზაზე გადის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის განვითარებით არსებული მიმოსვლის შედეგები“.

ძიაო ჰუი სინიმ ხაზი გაუსვა, რომ საქართველო რეგიონში პირველია, რომელმაც ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები დაიწყო.

„ინტერპრესნიუსი“

ილია მეორე: „დღეს ყოველი ქართველი უნდა შევიდეს ეკლესიაში და უფალს მადლობა შესწიროს ამდენი წყალობისთვის!“

ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას განაცხადა.

პატრიარქმა მრევლს ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე, ასევე ვახტანგ გორგასლისა და ორი კათალიკოსის — პეტრესა და სამუელის ხსენების დღე მიულოცა.

„რომ გადავხედოთ ჩვენი ქვეყნის წარსულს, დავინახავთ, რომ ჩვენს ისტორიაში არის ამოფრქვევები, ვულკანი რომ ამოაფრქვევს, ისე. როგორ შეიძლება ავხსნათ ჩვენ ამდენი წყალობა, ამდენი დიდება, ხალემი წმინდისა ილია წინასწარმეტყველისა. საქართველო წილხვედრია ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლის, კვართი უფლისა ჩამოტანილია საქართველოში, ანდრია პირველწოდებული ღვთისმშობლის ხატით ხელში მოდის საქართველოში. მეხუთე საუკუნე — ვახტანგ გორგასალი და საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. რამდენი შეიძლება გავიხსენოთ. ყველაფერი ეს მეტყველებს იმის შესახებ, რომ საქართველო ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ არის და განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია მას. ჩვენ ვმადლობთ უფალს ამ დიდი წყალობისთვის. კათალიკოსი პეტრე და იმის შემდეგ კათალიკოსი სამუელი – პირველი კათალიკოსები, პირველი დამოუკიდებელი ეკლესია საქართველოსი – ეს ყველაფერი მეტყველებს იმის შესახებ, რომ საქართველოზე განსაკუთრებული მადლია ღვთისა, მადლი უძლურთა მკურნალი, მადლი, რომელმაც შეცვალა ქართველი ადამიანი და დღეს ჩვენ ვზეიმობთ ამ დღესასწაულს, ჩამობრძანებას ანდრია პირველწოდებულისა საქართველოში. ასევე ვზეიმობთ ვახტანგ გორგასლის დღეს და პირველი კათალიკოსების დღესასწაულს“, — ბრძანა პატრიარქმა.

როგორც ილია მეორემ აღნიშნა, ჩვენ ვმადლობთ უფალს იმიტომ, რომ უფალმა ინება ეს დიდი წყალობა და უფალმა მოგვივლინა ჩვენ ეს დიდება.

„უფლის წყალობით ვართ, რაც ვართ. დღეს ყოველი ჩვენგანი, ყოველი ქართველი ადამიანი უნდა შევიდეს ეკლესიაში და მადლობა შესწიროს უფალს ამდენი წყალობისთვის. წმინდა მოციქული ანდრია გფარავდეთ თქვენ და საქართველოს. ანდრია პირველწოდებული აგრძელებს თავის ქადაგებას საქართველოში, ვახტანგ გორგასალი და პირველი კათალიკოსები განაგრძობენ თავის მოღვაწეობას. შეგეწიოთ ღვთის მადლი და ღვთის კურთხევა იყოს თქვენზე, საქართველოსა და მთელ მსოფლიოზე“, — მიმართა პატრიარქმა მრევლს.

ვეტერანმა ფეხბურთელებმა პოლიტიკოსები ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხეს

შეხვედრა დინამო არენაზე ფეხბურთის ფედერაციის 25 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კვირეულის ფარგლებში გაიმართა.

ვეტერან ფეხბურთელთა შორის ხუთი გოლი გაიტანა გიორგი დემეტრაძემ, 3 გოლი გაიტანა მიხეილ აშვეთიამ, თითო-თითო კი კახა კაჭარავამ და გია გურულმა.

პოლიტიკოსებიდან დავით ლორთქიფანიძემ 3 გოლი გაიტანა, თითო-თითო კი —ტარიელ ხეჩიკაშვილმა, ლევან კობიაშვილმა, მანუჩარ მაჩაიძემ, ზურაბ ზვიადაურმა და გიორგი რევაზიშვილმა.

ლევან კობიაშვილმა ორივე გუნდის შემადგენლობაში ითამაშა. კობიაშვილის განცხადებით, ეს თარიღი მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის და ის ყველა ფეხბურთის მოყვარულს ულოცავს ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის 25 წლის იუბილეს.

„ვულოცავ ყველას 25 წლის იუბილეს. ძალიან მინდოდა, რომ ამ იუბილის ფარგლებში ასეთი ღონისძიება ჩატარებულიყო. გვიხარია, რომ ეს ადამიანები მონაწილეობენ დღევანდელ მატჩში, რომ ეს მატჩი ზოგადად იმართება და ამ ხალხს მოედანზე ვხედავთ“, — განაცხადა კობიაშვილმა.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის, ტარიელ ხეჩიკაშვილის თქმით, საერთო ძალისხმევით ქართული ფეხბურთი მიაღწევს დადებით შედეგებს. **„25 წლის წინ ქართულმა ფეხბურთმა პირველად განაცხადა საკუთარი დამოუკიდებლობის შესახებ. ძნელი გზა განვლო ქართულმა ფეხბურთმა. იყო გამარჯვებები, იყო გულისტკენა და იმედია, შემდგომი წლები უფრო წარმატებული იქნება ქართული ფეხბურთისთვის და ჩვენ ამას ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ“,** — განაცხადა ხეჩიკაშვილმა.

მატჩს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დაესწრო.

„ინტერპრესნიუსი“

რუსეთის საგუშაგო გემმა ეგეოსის ზღვაში თურქულ სეინერს ცეცხლი გაუხსნა

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში განაცხადეს, რომ ცეცხლი გემების შეჯახების თავიდან ასაცილებლად გახსნეს. მათივე მტკიცებით, სეინერი რუსულ გემთან კავშირზე არ გამოდიოდა.

„09:03 საათზე ათასი მეტრის დაშორებით აღმოჩენილი იყო თურქული გემი, რომელიც ღუზაჩაშვებულ რუსულ გემ „სმეტლივის“ მარჯვენა ბორტიდან უახლოვდებოდა. „სმეტლივის“ არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, თურქული სეინერი რუს მეზღვაურებთან რადიოკონტაქტზე არ გამოვიდა და არ პასუხობდა სემაფორის სპეციალურ ვიზუალურ ნიშნებსა და სასიგნალო რაკეტებს“, — განაცხადეს თავდაცვის უწყებაში.

მათივე ცნობით, მას შემდეგ, რაც თურქული სეინერი რუსულ გემს 600 მეტრის დაშორებით მიუახლოვდა, გემების შეჯახების თავიდან აცილების მიზნით, გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შემდეგაც, თურქულმა გემმა კურსი მკვეთრად იცვალა ისე, რომ რუს მეზღვაურებს კვლავ არ დაკონტაქტებია.

მომხდართან დაკავშირებით რუსეთის თავდაცვის სამინისტროში თურქეთის სამხედრო ატაშე დაიბარეს.

„ინტერპრესნიუსი“

„რუსთავი 2“ „მაესტროს“ სარეკლამო დროს ყიდულობს?!

„ვერსიამ“ კულუარული მოლაპარაკების დეტალები გაარკვია

ნინო კომახიძე
599-95-33-16

„მაესტროს“ სკანდალი გრძელდება! „ვერსიის“ ინფორმაციით, გია გაჩეჩილაძესა და არხის დანარჩენ მეწილეებს შორის მოლაპარაკება ისევ ვერ შედგა — „უცნობი“, რომელიც არხის გაკოტრების თავიდან აცილების მიზნით, „მაესტროს“ მართვაში გადაცემასა და მასში 10 მილიონი დოლარის გარანტიის ჩადებას ითხოვდა, კოტე გოგელიამ და მაკა ასათიანმა ისევ „გადააგდეს“. გოგელია და სხვა მეწილეები არხის რეაბილიტაციის წინააღმდეგნი არიან და, „ვერსიის“ მიერ მოპოვებული ექსკლუზიური ინფორმაციით, „მაესტროს“ გასხვისების საკითხი კვლავ დღის წესრიგშია.

„ვერსია“ უკვე წერდა, რომ სააპელაციო სასამართლომ „მაესტროს“ მენეჯმენტისა და გენერალური დირექტორის, ბაია გადაბაძის მოთხოვნა არხის გაკოტრებულად გამოცხადების შესახებ არ დააკმაყოფილა და მოდავე მხარეებს შესათანხმებლად ერთი თვის ვადა მისცა. ამ დროისთვის, დადასტურებულად შეიძლება ვთქვათ, რომ მოლაპარაკება არ შედგა. როგორც გავარკვიეთ, 11 დეკემბერს, მოლაპარაკების ვადის ბოლო დღეს, „მაესტროს“ მენეჯმენტმა გაკოტრების შესახებ განცხადება აღარ შეიტანა, სამაგიეროდ, სასამართლოში შევიდა განცხადება არხის გადახდისუუნარობის შესახებ, რაც მარტივად იმას ნიშნავს, რომ არხს რეაბილიტაციის შესაძლებლობას ფორმალურად უტოვებენ, თუმცა, ვინაიდან „მაესტრო“ მის ბალანსზე არსებული მილიონობით ვალის გადახდის უუნაროა, არაპირდაპირ მაინც გაკოტრების გზაზე დგას. გადახდის უუნარობის ვერდამტკიცების შემთხვევაში, ორგანიზაცია ლიკვიდირდება და წყვეტს ფუნქციონირებას, მისი ქონება კი მევალეებს დაურიგდება და ბოლოს, ყველაფერი მაინც გაკოტრებით დასრულდება. თანაც ეს გადაწყვეტილება „მაესტროს“ მენეჯმენტმა და მეწილეებმა „უცნობისგან“ დამოუკიდებლად მიიღეს, რადგან მისი ფორმალური ხელმოწერა და თანხმობა პროცედურულად, არაფერში სჭირდებოდათ. ყველაფერ ამის თავიდან აცილებას „უცნობი“ სწორედ ინვესტორის ნახვითა და იმ 10-მილიონიანი საბანკო გარანტიით ცდილობს, რაზეც თვეებია, საუბრობს, მაგრამ როგორც ამბობენ, გოგელიას „უცნობის“ კი არა, ნაციონალი დავით კეზერაშვილის მილიონები უფრო ხიბლავს. მართალია, 2012 წლამდეც და მას მერეც „მაესტროსა“ და დავით კეზერაშვილის სახელები რამდენჯერმე გადაიკვეთა, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ყველა ეტაპზე ჩაიშალა და დაახლოებით, 2 წელია, ნაციონალების ექსმინისტრი „მაესტროსთან“ მიმართებაში აღარავის უხსენებია. სამაგიეროდ, წინასაარჩევნოდ, კეზერაშვილი ჰორიზონტზე ისევ გამოჩნდა და კარტიც აიჭრა — თუკი მანამდე „იმედიც“ ადასტურებდა გავრცელებულ ინფორმაციას, რომ „მაესტროს“ სარეკლამო დროის შესყიდვაზე ამ არხთან მოლაპარაკებები მიდიოდა, ახლა ირკვევა, რომ არხის მენეჯმენტი ანალოგიურ მოლაპარაკებებს „რუსთავი 2“-თან აწარმოებს, ოღონდ ცოტა განსხვავებული პირობებით, რასაც უკვე მარტო კომერციული კი არა, პოლიტიკური ინტერესების სუნიც ასდის.

კულუარული ინფორმაციით, „რუსთავი 2“-თან დაკავშირებული კომპანიები „მაესტროსთან“ მისი სრული სარეკლამო დროის ექსკლუზიურ შესყიდვაზე ლაპარაკობენ და როგორც ვარკვევთ, ამაზე „უცნობის“ გარდა, ისევ ყველა თანახმაა. ამ მოლაპარაკების ფინანსური დეტალები ჯერ უცნობია, მაგრამ საუბარი რამდენიმე მილიონ დოლარს შეეხება, „მაესტრო“ კი ფინანსურად, „რუსთავი 2“-ზე სრულად დამოკიდებული ხდება. თუ ეს გარიგება შედგა, რომლის მსგავსი „უცნობმა“ ერთხელ უკვე ჩაშალა, მაშინ „მაესტრო“ კი მიიღებს გარანტირებულ შემოსავალს რაღაც პერიოდის განმავლობაში, მაგრამ „რუსთავი 2“ კომერციული რეკლამის ბაზარზე, წინასაარჩევნოდ სრული მონსტრი გახდება და დაახლოებით, 70-%-იან პაკეტს მიიღებს. ეს მისთვის, ერთი მხრივ, დიდი შემოსავალი და ნაციონალების სატელევიზიო ბადის გაძლიერება, მეორე მხრივ, კი მთავარი კონკურენტის, „იმედის“ ჩაჩოჩება და ფინანსური დასუსტებაა.

საქართველოს სარეკლამო ბაზრის დიდ ნაწილს თავდაცვის ყოფილ მინისტრ კეზერაშვილთან დაკავშირებული ახლო მეგობრებისა და ნათესავების კომპანიები მანამდეც აკონტროლებდნენ, მაგრამ ახლა, ამ გარიგებით, რომელიც „ვერსიისთვის“ კულუარულად გახდა ცნობილი, იგი 2016 წლის არჩევნების წინ ნამდვილ მონსტრად მოგვევლინება.

ამჟამად, ბაზარზე დომინანტის პოზიცია ორ კომპანიას — „ჯენერალ მედიასა“ და „აუთდორ.ჯი“-ს აქვს. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით კი, „მაესტროსთან“ ამ მოლაპარაკებებში უშუალოდ ჩართულია ირაკლი ბურძგლა, ნაციონალებთან დაახლოებული პირი, რომელიც სწორედ „ჯენერალ მედიას“ დირექტორი გახლავთ.

სადავო აღარაა, რომ ამ მოლაპარაკების გააქტიურება და დაჩქარება სწორედ მოახლოებულ არჩევნებს უკავშირდება. სატელევიზიო რეიტინგებით კი, „რუსთავი 2-“სა და „იმედის“ მერე, კომერციულ ტელევიზიათა შორის, მესამე ადგილზე სწორედ „მაესტროა“ და წინასაარჩევნოდ, ამიტომაც იქცა საჯილდაო ქვად ამ ორ ტელეკომპანიას შორის.

რაც შეეხება სასამართლო პროცესს „უცნობსა“ და დანარჩენ მეწილეებს შორის, როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, 16 დეკემბერს, ოთხშაბათს გადის 5-დღიანი ვადა, რომელიც მოსამართლეს გადაწყვეტილების მისაღებად აქვს — მასზეა დამოკიდებული, დააკმაყოფილებს თუ არა არხის მენეჯმენტის განცხადებას „მაესტროს“ გადახდის უუნარობის შესახებ.

გიორგი მღებრიშვილი ჯორჯიის შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრს ეწვია

ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი ჯორჯიის შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრს (GPSTC) ესტუმრა და უწყების ხელმძღვანელ კრის ვიგგინტონს შეხვდა.

კრის ვიგგინტონმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციას ვიდეოპრეზენტაცია წარუდგინა და ცენტრის სტრუქტურა, სპეციფიკა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის კუთხით შემუშავებული სასწავლო პროგრამები დეტალურად გააცნო.

„აღნიშნული ცენტრი სასწავლო-საწვრთნელი ბაზაა, სადაც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მათ შორის, პოლიციის ოფიცრები, „911“-ის ცხელი ხაზის ოპერატორები, საგანგებო სიტუაციების მართვის მუშაკები და მაშველები შესაბამის მომზადებასა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს გადიან. სასწავლო ცენტრი 1980 წელს დაარსდა და 4 საგანმანათლებლო დანაყოფს აერთიანებს, კერძოდ: პოლიციის აკადემიას, მაშველ-მეხანძრეთა აკადემიას, საბაზისო მომზადებისა და სასწავლო პროგრამების განყოფილებებს“, — აღნიშნა კრის ვიგგინტონმა. მისი განმარტებით, საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრი 400-მდე ჰექტარ ტერიტორიაზეა განთავსებული. არსებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო პროგრამები მაღალი დონის პროფესიონალების მომზადებას ითვალისწინებს, რომლებიც თეორიასთან ერთად, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ეუფლებიან.

შეხვედრის დასასრულს, გიორგი მღებრიშვილმა საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრი დაათვალიერა და პრაქტიკულ გაკვეთილებში პირადად მიიღო მონაწილეობა.

„ჩვენს უწყებასა და ჯორჯიის შტატის სამართალდამცავ ინსტიტუტებს შორის მჭიდრო და ნაყოფიერი ურთიერთობა ჩამოყალიბდა. საზოგადოებრივი უსაფრთხოების ცენტრი ჩვენი თანამშრომლების გადამზადებაში დაგვეხმარა. სასწავლო ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში, ჩვენი ქვეყნის პატივსაცემად, ქართული პოლიციის კუთხეა მოწყობილი. ეს დიდი მხარდაჭერისა და თანადგომის გამოხატულებაა, რისთვისაც დიდი მადლობა მსურს გადავუხადო ბატონ ქრის ვიგგინტონსა და მის გუნდს. შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარებისა და ძლიერების საფუძველი — რაც შეიძლება მეტი მაღალკვალიფიციური კადრია. ამიტომ, ჩემი მიზანია, საქართველოს პოლიციის აკადემიის რეფორმა და მისი გარდაქმნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, რეგიონული მასშტაბის სასწავლო ცენტრად“, — აღნიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა.

აშშ-ს სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროს (INL) ტრენინგების პროგრამის „ჯორჯია –საქართველოსთვის“ ფარგლებში, ორი ქვეყნის პარტნიორ უწყებებს — საქართველოს შსს-ს აკადემიასა და ჯორჯიის შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სასწავლო ცენტრს შორის მჭიდრო თანამშრომლობა ჩამოყალიბდა. ერთობლივი პროგრამის საფუძველზე, GPSTC უზრუნველყოფს კურიკულუმების, სასწავლო მეთოდოლოგიებისა და ინსტრუქტორების გაცვლას. სასწავლო ვიზიტი ჰენრისა და ქობის ოლქებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაეხმარა „112“-ის სერვისის ჩამოყალიბებაში, რომელიც ყოფილ საბჭოთა სივრცეში პირველი, აშშ-ს „911“-ის ექვივალენტია. ცენტრის პროფესიული სასწავლო პროგრამებისა და სამართალდამცავი ორგანოების მართვა-განვითარების სისტემების გაცნობამ, თავის მხრივ, წვლილი შეიტანა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის რებრენდინგისა და შსს-ს აკადემიის განვითარების პროცესებში.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მოქალაქე ჯიმშერ მ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ჯიმშერ მ. სოფლის მეურნეობის პროდუქტის ადგილობრივი წარმომავლობის შესახებ ცნობის გაცემის სანაცვლოდ მოხელისთვის ქრთამის სახით გადასაცემად 800 აშშ დოლარი აიღო.

გამოძიება ქრთამის აღებაში დახმარების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 338-ე მუხლის პირველი ნაწილით). გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

„ვერსიანიუსი“

ელენე თევდორაძე პატიმრებისგან ფულის გამოძალვის ახალ ფაქტებს ასაჯაროებს!

„პატიმრის დედას ვკითხე, პოლიტპატიმართა სიაში მისი შვილი რატომ არ შეიყვანეს და მიპასუხა, ქალბატონო ელენე, ისეთი თანხა მთხოვეს, რომელიც არ მქონდაო“

ვანო პავლიაშვილი

დიახ, ეს სკანდალია — შეწყალების კომისიის კიდევ ერთი ყოფილი თავმჯდომარე ადასტურებს, რომ პატიმართა შეწყალებაში ფული კეთდება. საუბრისას ყოფილ მაჟორიტარს ახსენებს, რომელიც ახლა არასამთავრობო ორგანიზაციაშია და არ გამორიცხავს, რომ „შეწყალების სკანდალს“ პოლიტიკური დატვირთვა მიეცეს... იხსენებს, როგორ არ მიიღო ზურაბ ადეიშვილმა, როგორ დაემუქრა მეგის ქარდავა მისი თანდასწრებით პატიმრებს ცემით და როგორ უთხრა ერთ-ერთი ტუსაღის დედამ, რომ პოლიტპატიმართა სიაში მოსახვედრად საკმარისი ფული არ ჰქონდა... ამბობს, რომ ალეკო ელისაშვილის სჯერა; ასევე აცხადებს, ვიცოდი, ზურაბ ჟვანიას კონსპირაციული ბინა რომ ჰქონდაო და არც იმის თქმას ერიდება, რომ გიორგი სანაიას ყბადაღებული კასეტა თვითონ მისცა... მოკლედ, „ვერსია“ ელენე თევდორაძის სკანდალურად არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს გთავაზობთ.

— არც ქართულ გაზეთებს ვკითხულობ და არც ქართულ ტელევიზიებს ვუყურებ, რადგან ყველა არხი ერთმანეთს ძალიან ჰგავს: მხოლოდ ერთმანეთის ქიშპი მესმის. საერთოდ, ყოველთვის მინდოდა, ნებისმიერი დაპირისპირება ობიექტური და პრინციპული ყოფილიყო, რაც ერთმანეთის მიმართ ზიზღში არ გადავიდოდა. ასეთ დროს საზოგადოება იყოფა. ადამიანებში თავში ბევრი სიძულვილი იყრის და მგონია, რომ ამის გამო ზოგი ძალიან მძიმე დანაშაულსაც ჩადის.

— ქალბატონო ელენე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მედიას თვალს არ ადევნებთ, ალბათ, იცით, ქვეყანაში რაც ხდება...

— დიახ, ვიცი...

— ჰოდა, თქვენთან სტუმრობის მთავარი მიზეზიც ე.წ. შეწყალების სკანდალია, თუმცა ვიდრე ამაზე გადავალთ, მითხარით, სად ხართ, რას საქმიანობთ?

— არაფერს ვაკეთებ, გარდა იმისა, რომ შვილთაშვილებთან მჭიდრო ურთიერთობა მაქვს. სხვათა შორის, ჩემი შვილიშვილები ისე გაიზარდნენ, მათთვის დრო არ მრჩებოდა, ბებიის გრძნობა კი მქონდა, მაგრამ მათგან ჩემს მიმართ ნაკლები სიყვარულია. შვილთაშვილები კი ჩემი კუმირები არიან.

— რა ასაკის შვილთაშვილები გყავთ?

— ერთი 5 წლისაა, მეორე — ოთხის, მესამე — წლისა და ოთხი თვის და კიდევ ერთს ველოდებით...

— გაგიზარდოთ... ქალბატონო ელენე, მართალია, შვილიშვილებისთვის ვერ იცლიდით, მაგრამ სამაგიეროდ, ქართველი დედა ტერეზა გახდით. მოდით, გულწრფელად მითხარით: შეწყალებაში ფული მაშინაც კეთდებოდა? სხვათა შორის, შეწყალების კომისიას, როგორც ამბობენ, რეჟიმის დროს ხელმძღვანელობდით...

— შეწყალების კომისიის წევრი 1995 წელს გავხდი, თავმჯდომარე კი — 2003 წელს და, პრაქტიკულად, 10 წლის განმავლობაში ვიყავი, თუმცა მხოლოდ ე.წ. რეჟიმის პერიოდზე არ ვილაპარაკებ.

— ისე, თვლით, რომ სააკაშვილის 10-წლიანი მმართველობა რეჟიმი იყო?

— ასეთ შეფასებას მანამდე არ ვაძლევდი, ვიდრე ბევრი რამ, თუნდაც ე.წ. ციხის კადრები, ჩემთვისაც მოულოდნელი არ აღმოჩნდა და ჩამოვყალიბდი, რომ ეს რეჟიმი იყო. რაც შეეხება შევარდნაძის პერიოდს, საზოგადოების ცენტრში მაშინ აღმოვჩნდი, რადგან პირველმა განვაცხადე, უფლებები პატიმრებსაც აქვთ-მეთქი, ციხეებშიც დავდიოდი და, როგორც შეწყალების კომისიის წევრი, პასიური არ ვიყავი. კომისიის სხდომის შემდეგ, ჟურნალისტებსაც მე ველაპარაკებოდი... საერთოდ, არ მინდა, იმაზე, რაც ბოლო დღეებში მოხდა, კომენტარი გავაკეთო — ეს ჩემგან მაინცდამაინც კორექტული არ იქნება — მაინც ყოფილი თავმჯდომარე ვარ, მაგრამ მაშინ, როცა კომისიის წევრი ვიყავი, შსს-სა და პროკურატურის მხრიდან დაშინება და ზეწოლა, რა თქმა უნდა, იყო.

— ანუ გემუქრებოდნენ?

— დიახ, შს მინისტრ კახა თარგამაძისა და სოსო ალავიძის ყოველი ზარისა თუ მუქარის შემდეგ, ბრიფინგს ვატარებდი, რითიც, ვფიქრობ, დაცული ვიყავი.

— თარგამაძე და ალავიძე კონკრეტული პიროვნებების შეწყალებას გთხოვდნენ?

— არა, უბრალოდ, არ მოსწონდათ, რომ შეწყალებებში აქტიური ვიყავი... მას შემდეგ, რაც კომისიის თავმჯდომარე გავხდი, განცხადებების გაკეთებისას ფრთხილი ვიყავი.

— გეშინოდათ?

— არასოდეს შემშინებია. მგონი, ჩემი უფრო ეშინოდათ, რადგან ძალიან კარგად იცოდნენ, რამე რომ ყოფილიყო, ღია ეთერში ვიტყოდი... ისე, შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობა ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო და მიშას ვუთხარი კიდეც, პარლამენტის ადამიანის უფლებების კომიტეტისა და შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობა ცოტა უხერხულია-მეთქი, მაგრამ მიშამ მიპასუხა, თქვენს მეტს არავის ვენდობი და იქ სუფთა ხელი იქნებაო.

— ესე იგი, 2003 წლამდე, შეწყალების კომისიაში კორუფციის ფაქტები არსებობდა?

— დიახ.

— ამის კონკრეტული მაგალითი გაქვთ?

— მაშინ ფული მხოლოდ შეწყალებაზე კი არა, საერთოდ, ციხეში ტრიალებდა. კარგად მახსოვს, პატიმრები არასამთავრობო ორგანიზაციებსაც მისახელებდნენ.

— ეს ორგანიზაციები დღესაც არსებობენ?

— ერთი...

— დაასახელებთ?

— არა... „ზონაზე“ ყველას აინტერესებდა, განცხადება როგორ დაეწერა ან შეწყალების უფლება ჰქონდათ თუ არა... რადგან პრეზიდენტის სახელზე განცხადების წერა არ ეხერხებოდათ, ეს არასამთავრობო ორგანიზაცია პატიმრებისგან განცხადების დაწერაში 10-10 ლარს იღებდა. გარდა ამისა, შუამდგომლობასაც სთავაზობდა.

— ეს „მომსახურეობაც“ ამ 10 ლარში შედიოდა?

— არა, ეს უკვე 50 ლარი ღირდა. ამიტომ, როცა შუამდგომლობა ამ არასამთავრობო ორგანიზაციიდან მოდიოდა, შეწყალებაზე ყოველთვის უარს ვამბობდით... სხვათა შორის, მიშას დროს პატიმართა მშობლები მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ ვიღაცამ 800 დოლარი მოსთხოვა. ეს ყველაზე დიდი თანხა იყო...

— დღეს 200 ათასზეა ლაპარაკი...

— ეს, მართლაც, ასტრონომიული ციფრია... როცა ვეკითხებოდი, ფულს ვინ სთხოვდა, იმ მოტივით არ მეუბნებოდნენ, რომ პატიმარი ციხეში რჩებოდა და ეშინოდათ, თუმცა მინიშნებას აკეთებდნენ.

— ვისზე?

— უფრო ხშირად, მაჟორიტარებზე.

— ნაცმოძრაობის მაჟორიტარებზე?

— დიახ... სხვათა შორის, თავიდან მიშამ თვითონ მითხრა, აქ რაღაც თანხები ტრიალებს, ქრთამზეა ლაპარაკი და ფრთხილად იყავითო, თუმცა მერე აღარც მღებულობდა. სხვათა შორის, მაჟორიტარები თვითონაც მირეკავდნენ და ამა თუ იმ პატიმარზე მთხოვდნენ, ოჯახს ვიცნობ, ასეთია, ისეთია და ყურადღება მიაქციეთო. ზოგჯერ კაბინეტშიც მოდიოდნენ, თუმცა ჯერ ვინტერესდებოდი, რა მუხლით იყო გასამართლებული და თუ შეწყალების კრიტერიუმებში არ ჯდებოდა, ვეუბნებოდი, არაფერი გამოვა-მეთქი. იმ შემთხვევაში კი, თუ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა, ყველა მაჟორიტარს ვეუბნებოდი, განხილვისას, კომისიის წევრებს მივაწვდი ინფორმაციას, რომ თქვენ ლობირებთ-მეთქი... შეიძლება, ეჭვი მქონდა, მაგრამ ხელის დადება მიჭირდა. გარდა ამისა, ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა პატიმრის ოჯახის წევრს ვიღაც უცნობი მოყვებოდა და ის მელაპარაკებოდა ხოლმე. ერთი და იგივე ადამიანი ძალიან ხშირად მოდიოდა, მგონი, რაღაც ბიზნესი ჰქონდა და ერთხელ, ვუთხარი, ვეჭვობ, ამ ადამიანებს ტყუილად არ დაყვებით და რამდენჯერაც მოხვალთ, პატიმარი შეწყალებაზე იმდენჯერ უარს მიიღებს-მეთქი.

— ქალბატონო ელენე, შეწყალების კომისიის თავმჯდომარეობა 2013 წლის შემოდგომით დატოვეთ, არა?

— დიახ, თუმცა მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, ერთი სხდომაც არ ჩამიტარებია. სამწუხაროდ, ჩემი გათავისუფლება ტელევიზიით გავიგე, მაგრამ ამას ველოდი, რადგან ახალი ხელისუფლება მოვიდა, რომელსაც თავისი ფავორიტები ჰყავდა, ვისიც სჯეროდა.

— პარლამენტმა პოლიტპატიმართა სია რომ „დაამტკიცა“, ისევ კომისიის ხელმძღვანელი იყავით. თქვენთვის არაფერი უკითხავთ?

— არა...

— ნაციონალები მაშინვე ამბობდნენ, პოლიტპატიმართა სიის შედგენაში ფული გაკეთდაო...

— ამაზეც გეტყვით... ერთი-ორი პატიმრის მშობელი მოვიდა და როცა სიტუაცია ამიხსნა, მივხვდი, რომ პოლიტპატიმართა სიაში შეყვანა ადვილი იყო. ვკითხე, მისი შვილი რატომ არ შეიყვანეს და მიპასუხა, ქალბატონო ელენე, ისეთი თანხა მთხოვეს, რომელიც არ მქონდაო.

— დაგისახელათ, რა თანხა ან ვინ სთხოვა?

— ისეთი ადამიანი დამისახელა, რომლისაც დღესაც ძალიან მჯერა, რომ ამას არ იკადრებდა.

— ვისზე ლაპარაკობთ?

— ყოფილ დეპუტატზე, რომელიც ახლა არასამთავრობო ორგანიზაციაშია.

— ნაციონალების ყოფილი დეპუტატია?

— არა, მაშინ ოპოზიციაში იყო.

— დღეს „ოცნების“ მხარდამჭერია?

— არა.

— ქალია?

— არა...

— ამ მისტერ ინკოგნიტოს, ფულის სანაცვლოდ, პატიმარი პოლიტპატიმართა სიაში როგორ უნდა შეეყვანა?

— მაშინ ხომ კომისია იყო შექმნილი... ამ პიროვნებას დიდი ხანია ვიცნობ, ჯერ კიდევ იქიდან, ვიდრე დეპუტატი გახდებოდა. როცა დეპუტატი გახდა, მისი მოღვაწეობა მომწონდა — პატიმრებთან მიმართებაში აბსოლუტურად სწორად იქცეოდა, ამიტომ იმ ქალბატონს არ დავუჯერე...

მიშას პრეზიდენტობის პირველი ოთხი წელი, შეწყალების კომისიის მიერ მომზადებული სიიდან 3-4 ადამიანი ამოვარდებოდა, დანარჩენები შეწყალებულები იყვნენ ხოლმე. მიშას პრეზიდენტობის მეორე ვადისას, პარლამენტში აღარ ვიყავი, მაგრამ ისევ მთხოვა, რომ ჩემი სჯეროდა და კომისიის თავმჯდომარედ დავრჩენილიყავი, თუმცა მასთან ნორმალური დამოკიდებულება უკვე აღარ მქონდა. მოკლედ, 2008 წლიდან, ჩვენი სიიდან უმეტესობას პროკურატურა ყრიდა, რაც ნონსენსი იყო.

— სიას პროკურატურას თქვენ უგზავნიდით?

— არა, პრეზიდენტის რეზიდენციიდან ანუ სხდომას რომ ჩავატარებდით, მერე რამდენიმე ადამიანი ვაკონტროლებდით, რამე შეცდომა ხომ არ დავუშვით, ოქმი დგებოდა, თითოეულ ფურცელზე ხელს ვაწერდი, რეზიდენციაში ვტოვებდი და სიასთან შეხება მანამ აღარ მქონდა, ვიდრე პრეზიდენტის ბრძანება არ დაიწერებოდა.

— ესე იგი, პრეზიდენტის რეზიდენციიდან პროკურატურაში შესაწყალებელთა სია არაოფიციალურად იგზავნებოდა?

— ალბათ...

— გამორიცხავთ, რომ ამ კუთხით პროკურატურაში კორუფცია ყვაოდა?

— რა თქმა უნდა, არა... იცით, საინტერესო რა იყო? — ვთქვათ, სიას 80 ადამიანზე გავგზავნიდით და 20 რჩებოდა. თუკი 30 დარჩებოდა, მიხაროდა... წვრილმან დანაშაულზე პატიმრები ციხეში რჩებოდნენ, ისინი კი, ვისაც დიდი „სროკი“ ჰქონდა, თავისუფლდებოდნენ. ასეთი შემთხვევაც იყო: პატიმარი სასჯელს პირველ ქურდობაზე იხდიდა, ერთი წელი მოიხადა და შეწყალებაზე განცხადება შემოიტანა, რა თქმა უნდა, თანხმობა მივეცით, მაგრამ არ შეიწყალეს, რის შემდეგაც ჩემთან მისი ახლობელი მოვიდა, რომელიც ჩემი ახლობელიც აღმოჩნდა. ვურჩიე, 6 თვის მერე განცხადება ისევ შემოეტანა. ცხადია, შემოიტანა და რადგან ახლობელი იყო, ვუთხარი, წადი პროკურატურაში, ის პროკურორი თუ პროკურორები მოძებნე, ვინც ჩვენს სიას აკონტროლებენ და თუ იქ მოილაპარაკებ, მაშინ სიაში დარჩება-მეთქი.

— ამ სიას, უშუალოდ, ზურაბ ადეიშვილი აკონტროლებდა?

— როგორც ვიცი, რაღაც ჯგუფისთვის ჰქონდა დავალებული.

— ჯგუფის წევრების ვინაობა იცით?

— არა...

— თქვენი ახლობელი ვისთან მივიდა ან პროკურატურაში ფული გადაიხადა?

— დავურეკე და ვთხოვე, ჩემთან გამოევლო და, როგორც გავიგე, პროკურატურაში 800 დოლარი გადაიხადა, თუმცა არ მითხრა, ვის გადაუხადა. ამის მერე ადეიშვილთან წავედი და ვუთხარი, ზურა, ასეთი სიტუაციაა-მეთქი. არ ვიცი, ადეიშვილმა რა გააკეთა, მაგრამ ჩემამდე ხმა მოვიდა, რომ ის პროკურორი გაათავისუფლა... ამის მერე ადეიშვილი აღარ მღებულობდა.

— ქალბატონო ელენე, ადასტურებთ, რომ შეწყალების კომისიაში ფული მიშას დროსაც ტრიალებდა, მაგრამ სასაცილო თანხებზე ლაპარაკობთ. დღეს კი 200 ათასი ფიგურირებს. როგორ ფიქრობთ, საქართველოში ისეთი პატიმარი არსებობს, რომელშიც ვინმე 200 ათასს გადაიხდის?

— წარმოდგენა არ მაქვს, თუმცა შეიძლება, სამუდამო პატიმრობამისჯილები იყვნენ. აქედან ყველას სამართლიანად არ აქვს მისჯილი... მიშას პერიოდში ძალიან ბევრი უსამართლო საქმე იყო...

— ქალბატონო ელენე, თქვენ, რომელსაც ხალხის სიყვარული გქონდათ, რეჟიმის შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ რატომ რჩებოდით? მერკანტილური ინტერესები — ხელფასი, ოჯახი გქონდათ?

— ვიდრე თანამდებობებზე ვიყავი, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს, ხელფასი არ ამიღია, მაგრამ როცა მინისტრის მოადგილეობიდან ეკა ტყეშელაშვილმა გამათავისუფლა, მიშამ ხელფასი დამინიშნა, მაგრამ ხელფასი კი არა, უფრო ის მაჩერებდა, რომ ის 20 ადამიანიც არ იქნებოდა შეწყალებული, რომელსაც სიაში პროკურატურა ტოვებდა...

— პოლიტიკაში ზურაბ ჟვანიამ, ასე ვთქვათ, აღმოგაჩინათ. გარდაცვალების წუთიდან, მოგეხსენებათ, მუსირებს ვერსია, რომ პრემიერი მოკლეს. მორალურად, მართალი იყავით, რომ მიშას ხელისუფლებაში მუშაობდით და, საერთოდ, თვლიდით და თვლით, რომ ჟვანია მოკლეს?

— ჯერ კიდევ დასაფლავებამდე, პირველად მე ვთქვი, რომ ზურა მოკლეს და ეს აზრი არ შემიცვლია.

— თავის დროზე, როგორც ახლა გამახსენდა, პრემიერის მკვლელობის რუსულ ვერსიას განიხილავდით და ნაციონალების კვალს ვერ ხედავდით. დღესაც ასე ფიქრობთ?

— ჩემს მოსაზრებებში დღესაც დარწმუნებული ვარ, თუმცა შეიძლება, ვცდები, ამიტომ მინდა, სიმართლე გავიგო და ვიდრე სიმართლეს არ გავიგებ, ვრჩები ჩემს პოზიციაზე, რომ ზურა მოკლეს.

— ჰოდა, იმ ფონზე, როცა მაშინდელი ოპოზიცია მკვლელობას მიშას აბრალებდა, გქონდათ მორალური უფლება, ნაცებთან გემუშავათ?

— ამაზე არასოდეს მიფიქრია... შემეძლო, ოპოზიციაში გადავსულიყავი და დიდი სიამოვნებით მიმიღებდნენ.

— შვილით ხომ არ გემუქრებოდნენ?

— არა, მაშინ არა, თუმცა ძალიან ხშირად მომისმენია, ხომ არ დაგავიწყდა, შვილი გყავსო.

— ვისგან მოგისმენიათ?

— (იღიმება) ერთხელ, რაღაც განცხადება გავაკეთე და ნინო ბურჯანაძემაც მითხრა, თუმცა მერე თქვა, არ მახსოვსო... პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი და ოპოზიციაში რომ წავსულიყავი, ამ ტრიბუნას დავკარგავდი. აქედან გამომდინარე, ის ხალხი მეცოდებოდა, რომელსაც პარლამენტში არავინ იღებდა და ეს უფრო მაკავებდა. გარდა ამისა, ოპოზიციური პარტიებისგან შემოთავაზება შემდგომშიც მქონდა, მაგრამ ჩემი პრინციპი მაქვს: ან იქ ვარ, საიდანაც მუშაობა დავიწყე, ან არსად უნდა ვიყო.

— ქალბატონო ელენე, იმ დროს, როცა შეწყალების კომისიას ხელმძღვანელობდით, საპატიმრო სანდრო გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებულებმა დატოვეს. მათი საკითხი კომისიამ ყასიდად მაინც განიხილა?

— არა... მეტსაც გეტყვით, როცა ეს ბიჭები ავჭალის კოლონიაში გადაიყვანეს, მაშინ დეპუტატი ვიყავი, კოლონიაში შევედი, სადაც საშინელი პირობები იყო. „კაზარმიდან“ რომ გამოვედი, ოთხი ბიჭი იდგა, ვერ ვიცანი და თვითონ მითხრეს, ქალბატონო ელენე, ჩვენ ესენი და ესენი ვართ და თქვენთან საუბარი გვინდაო. დავთანხმდი, კი ბატონო-მეთქი. მითხრეს, ტელევიზიით სულ ისმის „სიკვდილის ბრიგადები, სიკვდილის ბრიგადები“ და პატიმრები, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდად გვიყურებენ და არ ვიცით, რა მოხდებაო. თითქმის ერთი საათი ვისაუბრეთ.

— არ კითხეთ, გირგვლიანი მართლა მოკლეს თუ არა?

— პირდაპირ არა, მაგრამ მაგრძნობინეს, რომ ეს არ ჩაუდენიათ, თუმცა თავიანთ თავზე აიღეს.

— რატომ?

— პირდაპირ მითხრეს, დაგვპირდნენ, რომ მოგვხედავენ, მაგრამ არაფერი ხდებაო. ერთმა, გვარი არ მახსოვს, მითხრა, ჩემმა მეუღლემ იმდენი ინერვიულა, რომ ფეხმძიმედ იყო და მუცელი მოეშალა. პრაქტიკულად, მოგვატყუეს და მძიმე სიტუაციაში ვართო.

იქიდან რომ წამოვედი, ბაჩო ახალაიას დავურეკე და ვუთხარი, ბაჩო, ფაქტს ვერ დაგიდებ, მაგრამ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს ბიჭები სასჯელს ვიღაცის დანაშაულის გამო იხდიან. ხომ დაპირდით, რომ მიხედავთ, მერე-მეთქი?.. ამის შემდეგ გავიგე, რომ ისინი კარგ პირობებში გადაიყვანეს...

— ესე იგი, ყველაფერი ის, რის გამოც მერე აჟიოტაჟი ატყდა, თქვენი „გაკეთებული“ ყოფილა?!

— (იღიმება) ამაზე მეცინება... სხვათა შორის, ამ ბიჭებს ვუთხარი, მკვლელობის ბრალდება გაქვთ და შეწყალებაზე ნურც იფიქრებთ, რადგან კომისია დადებით რეკომენდაციას არ მოგცემთ-მეთქი, მაგრამ სასჯელი რომ გაუნახევრეს, ეს პრესიდან გავიგე. თავიდან, როცა პრეზიდენტი შეწყალებას ხელს აწერდა, ჩემთან საბოლოო სია მოჰქონდა, მაგრამ მერე მითხრეს, ქალბატონო ელენე, მხოლოდ მათ სიას მოგცემთ, ვინც კომისიითაა შეწყალებულიო...

— სანდროს დედას, ცხონებულ ირინა ენუქიძეს შეხვედრიხართ?

— გირგვლიანის, რობაქიძისა და „ვარდების რევოლუციის“ დღეებში, ტანკმა რომ მოკლა, იმ ბიჭის საქმეებზე, გავბედე, საკომიტეტო მოსმენა გავმართე და მშობლებიც მოვიწვიე, მაგრამ ტელევიზიით ვისმენდი, რომ ქალბატონ ენუქიძეს ჩემთან შეხვედრა არ უნდოდა, ელენე თევდორაძის არ მჯერაო. კომიტეტის დასკვნა პროკურატურაში გავაგზავნე, მაგრამ...

სხვათა შორის, ადეიშვილთან ურთიერთობა შეწყვეტილი მქონდა. კარგად მახსოვს, ერთ პატიმართან დაკავშირებით პროკურატურაში მივედი. ვიცოდი, რომ ზურა კაბინეტში იყო — კაბინეტში შედიან-გამოდიან. მდივანს ვუთხარი, მოახსენე, რომ ველოდები-მეთქი... ორი საათი მაინც ვიჯექი. სამუშაო დღე უკვე მთავრდება. დაცვა ამოვიდა — ვიგრძენი, რომ უნდა წავიდეს. მდივნისთვის აღარც მიკითხავს, კარი გავაღე და კაბინეტში შევედი, ზურა, რა ხდება, ორი საათი გელოდები-მეთქი. მიპასუხა, თქვენთან ლაპარაკი არ მინდა, რადგან თქვით, რომ ჩვენ პოლიტპატიმრები გვყავსო. არ გავჩერდი, დაჯექი და აქედან არ გახვალ, ვიდრე არ დაგელაპარაკები-მეთქი... მოკლედ, ამ კონკრეტულ პატიმარს დავეხმარე, რომელიც დღეს თბილისის საკრებულოს წევრია „ოცნებიდან“. ეს ადეიშვილთან ბოლო შეხვედრა იყო...

მეტსაც გეტყვით: პატიმრის მშობლები მეუბნებოდნენ, რომ მათ შვილებს მისჯილი ჰქონდათ და წესით, კოლონიაში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისევ საგამოძიებო იზოლატორში იმყოფებოდნენ. ეს კანონის დარღვევა იყო. ერთხელ მიშა მაჭავარიანს დავურეკე, ერთხელ — კუბლაშვილს, ერთხელ კი — ლაშა თორდიას და ავუხსენი, რომ უკანონოს არაფერს ვითხოვდი, თან მშობლები მეუბნებოდნენ, რომ პატიმრები ნორმალურად არ იყვნენ... მოკლედ, ერთმაც, მეორემაც და მესამემაც მითხრა, ქალბატონო ელენე, ველაპარაკეთ, მაგრამ თქვეს, ცუდი კაცია და იზოლატორში დარჩებაო ანუ თავიანთი გუნდის წევრებსაც არაფერს უკეთებდნენ.

— საუბარი გაგვიგრძელდა, მაგრამ რამდენიმე კითხვა კიდევ უნდა დაგისვათ: წამება-გაუპატიურებას ვიდეოფირზე, როგორც ირკვევა, 2010 წლიდან იწერდნენ. სწორედ იმხანად, ირმა ინანშვილი პერმანენტულ აქციებს მართავდა და აცხადებდა, რომ პატიმრებს აწამებდნენ და არაადამიანურად ეპყრობოდნენ...

— ეს კადრები ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო, რადგან არ ვიცოდი...

— არც ყური გქონდათ მოკრული?

— არ მახსოვს, მაგრამ როცა პირველად თქვეს, რომ პატიმრებს სცემდნენ, მაშინ ჯერ კიდევ დეპუტატი ვიყავი, წავედი და გლდანის ციხის დირექტორს შევხვდი.

— ჭაკუას?

— არა, ჭაკუა საშინელება იყო...

— მაშინაც იცოდით, რომ ჭაკუა საშინელება იყო?

— ვიცოდი, ვიცოდი და ისიც ვიცოდი, რომ მეგის ქარდავაც საშინელება იყო და თუ გინდათ, ამასაც მოგიყვებით...

— კი ბატონო...

— მოკლედ, გლდანის ციხის მაშინდელ დირექტორს შევხვდი, რომელიც შეცვლილი მომეჩვენა და რომელიც მერე გაათავისუფლეს — ალბათ, იმიტომ, რომ ისე არ სცემდა, როგორც საჭირო იყო.

— ქალბატონო ელენე, ცემა ერთია, მაგრამ თქვენი ვერსიით, პატიმრებს რატომ აუპატიურებდნენ?

— როგორც პატიმრებისგან ვისმენდი, შსს-სა და პროკურატურასთან თანამშრომლობას სთავაზობდნენ და როცა უარს ამბობდნენ, ძირითადად, ამის გამო აუპატიურებდნენ.

რაც შეეხება მეგის ქარდავას, მე-7 საპყრობილის დირექტორად რომ დაინიშნა, დეპუტატი ვიყავი. „მეშვიდეში“ ირაკლი ბათიაშვილი და სულხან მოლაშვილი ისხდნენ. იქ ისეთი თხელი კედლებია, ერთი „კამერიდან“ მეორეში ლაპარაკი ისმის... მოკლედ, მე-7 საპყრობილეში წავედი და საოცარი სიმშვიდე დამხვდა. ქარდავას ვკითხე, რა ხდება, რა სიწყნარეა-მეთქი. მიპასუხა, აბა, ვინმემ გაბედოს და ხმამაღლა გაიცინოს ან დააცემინოს, შევალ და ვთხლიშავო. გავაჩერე, მეგის, ხომ არ დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები-მეთქი... მაშინვე ბაჩო ახალაიას დავურეკე და ვუთხარი, თუ ამას აქედან არ მოაშორებ, იცოდე, განგაშს ავტეხ-მეთქი, ამის შესახებ პარლამენტში, მიკროფონითაც ვთქვი და მართლაც, იქიდან ბაჩომ თავის მოადგილედ წაიყვანა. როგორც მერე მითხრეს, რაღაც ნათესაური კავშირიც ჰქონიათ... თუ გახსოვთ, ერთხელ, ზუგდიდში, მეგის ქარდავამ ჩვენს დეპუტატს სცემა, ინტერვიუ მივეცი და ვთქვი, ქარდავა მკვლელია-მეთქი. ვანო მერაბიშვილმა დამირეკა, ქალბატონო ელენე, როცა ჩემს თანამშრომელზე ლაპარაკობთ, ფრთხილად იყავიო. მივუგე, ფრთხილად შენ იყავი-მეთქი... გიგა ბოკერიასთან ძალიან ცუდი ურთიერთობა მქონდა და ერთხელ, მითხრა, ქალბატონო ელენე, თქვენს წინააღმდეგ ხმამაღლა იმიტომ არ გამოვდივართ, რადგან ვიცით, ხალხს უყვარხარ და გთხოვთ, ასეთ განცხადებებს ნუ აკეთებთო. ამის შემდეგ, ინგა გრიგოლიას გადაცემაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წელი მქონდა დარჩენილი, განვაცხადე, რომ პოლიტიკიდან მივდიოდი, რადგან მე, როგორც უფლებადამცველს, არაფრის გაკეთება აღარ შემეძლო.

— ასეა თუ ისე, ფაქტია: ძალიან ბევრი რამ იცით, მათ შორის, პანკისის თემაზე... თავის დროზე თქვით, რომ გიორგი სანაიას მკვლელობა ვიდეოკასეტას უკავშირდებოდა. კარტს ბოლომდე არც ახლა გახსნით?

— მარგიშვილთან სახლში ვიყავი და გეტყვით, რატომ წავედი: კახეთიდან ქალი იყო გატაცებული, რომელიც მარგიშვილთან იმყოფებოდა და მერე გაუშვა. გარდა ამისა, მქონდა ინფორმაცია, რომ პოლიციის მაღალჩინოსნები პანკისში ჩადიოდნენ და ნარკოტიკებს ყიდულობდნენ — შეიძლება, თვითონ არ იყენებდნენ, მაგრამ ჩასადებად სჭირდებოდათ. მითხრეს, რომ მარგიშვილი ჩემთან შესახვედრად მზად იყო. ახმეტაში ჯარი იდგა და მითხრეს, კი ბატონო, პანკისში შეგიშვებთ, მაგრამ იქ რომ რამე მოხდეს, ვერ დაგეხმარებითო. მარგიშვილმა გვარიც მითხრა — ის პიროვნება, რომელიც ნარკოტიკებს იღებდა, თარგამაძის მოადგილე ბაკურაძე იყო. პარალელურად, მითხრა, რომ კასეტა ჰქონდა. ვკითხე, ეს კასეტა ერთი ჰქონდა თუ ასლიც. ასლიც მაქვსო, შავ პარკში ჩადო და მომცა.

— არ ნახეთ, რა იყო ჩაწერილი?

— არა, რადგან ვიდეომაგნიტოფონი არ მქონდა.

— იქვე გენახათ.

— არც მას ჰქონდა — ძალიან ღარიბად ცხოვრობდა. სხვა გვარებიც დამისახელა, რომლებიც ბიზნესმენები იყვნენ. ამ დროს ნარკოდეპარტამენტის უფროსმა დამირეკა, ვუთხარი, მარგიშვილთან ვარ და ძალიან საინტერესო ამბები მოვისმინე-მეთქი. თელავის შესასვლელთან, ისინი, ვისზეც ინფორმაცია მქონდა, დამხვდნენ და რესტორანში მეპატიჟებოდნენ, მაგრამ ციხის უფროსებსა და პოლიციელებთან ერთად რესტორნებში არასოდეს შევდიოდი. კასეტა პატარა თეთრ ჩანთაში მედო, რომელიც აღარ იკეტებოდა და სულ ამ ჩანთას უყურებდნენ...

— ეს კასეტა დღეს სადაა?

— სანაიას მივეცი.

— თქვენ?

— დიახ.

— ამის შესახებ აქამდე რატომ არაფერი თქვით?

— სასამართლოზე მოვყევი... თარგამაძე ამბობდა, რომ კასეტა ვერ ნახეს, რომ კასეტა მათაც აქვთ, მაგრამ იცით, როგორ მოხდა? — სანაიასთან გადაცემაში ვთქვი, რომ პანკისიდან კასეტა ჩამოვიტანე, თუმცა გვარები არ დამისახელებია. გიორგიმ კითხა, ხომ არ მოგვცემთო. კი ბატონო და თუ გინდა, გაუშვი, თუ გინდა — არა-მეთქი... კარგად მახსოვს: საღამომდე ბიუროს სხდომა გვქონდა, რომ დამთავრდა, გიორგი კართან დამხვდა, რაშია საქმე-მეთქი. ზურა ჟვანიას ვთხოვე, რომ გადაცემაში სტუმრად მოსულიყო, მაგრამ უარი მითხრაო. კარგი, მოიცა-მეთქი, შევედი ზურასთან, მერე, გიორგის ვუთხარი, ზურა გელოდება, მაგრამ ისე არ წახვიდე, კასეტა კაბინეტში მაქვს და მოგცემ-მეთქი და მივეცი... ორ დღეში კი მოკლეს: პარლამენტში ჟურნალისტები იდგნენ, მათ შორის, „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი, შეწუხებულები ჩანდნენ. რა ხდება-მეთქი. სანაია დაიკარგაო და მაშინ ვთქვი, ვაიმე, კასეტა-მეთქი...

— სანაიასა და ჟვანიას გარდაცვალების „ქეისი“ პირადი ცხოვრების დეტალებია. ეს სპეცსამსახურის შემოგდებულია?

— რა თქმა უნდა...

— ჟვანიას კონსპირაციული ბინა ჰქონდა?

— დიახ, ჰქონდა, მაგრამ ეს ბინა ყველასთვის იყო განპირობებული, ვისთანაც შეხვედრა უნდოდა.

— ამ ბინაში ნამყოფი ხართ?

— არა... ერთხელ, ერთ-ერთი არჩევნების წინ, თარგამაძემ მითხრა, ჟვანიაზე ბევრი რამ ვიცითო. ისეთი რა იცი, რაც მე არ ვიცი-მეთქი. მალე გადავიღებთ და ტელევიზიით ვაჩვენებთო, მაგრამ ზურა ვერ გამოიჭირეს...

— ბოლოს, ქალბატონო ელენე, პენსიით ცხოვრობთ?

— სამწუხაროდ, კი — ვიღაცამ მითხრა, ალბათ, 3 ათასი ლარი გაქვთო, მაგრამ პარლამენტარის პენსიას — 560 ლარს ვიღებ.

— ყოფილი პატიმრები არ გეხმარებიან?

— კავშირი მხოლოდ ორ ყოფილ პატიმართან მაქვს — ლონგი ჭელიძესთან, რომელიც არსად მუშაობს და ჩემი შვილიშვილის ქორწილში თამადა იყო და გიორგისთან, რომელიც წნორში ცხოვრობს, პურის საცხობი აქვს და საახალწლოდ პურს მიგზავნის ხოლმე...

— წეღან უნდა მეკითხა და დამავიწყდა: პოლიტპატიმართა სიაში 200-ზე მეტი ადამიანი შევიდა. მიშას დროს მართლაც, ამდენი პოლიტპატიმარი იყო?

— შეიძლება, მეტიც იყო...

— ალეკო ელისაშვილის გჯერათ?

— მჯერა, რომ ის, რაც თქვა, შესაძლებელია. ტყუილს რატომ იტყვის?

— ხომ არ ფიქრობთ, რომ შეწყალების სკანდალით რამე ახალი პოლიტიკური თამაში იწყება?

— ასე, კონკრეტულად არ მიფიქრია, მაგრამ ორ-სამ კვირაში გავიგებთ, რომ ამ ყველაფერმა შეიძლება, ისეთი პოლიტიკური ელფერი შეიძინოს, რომელიც არჩევნებისთვის ძალიან საინტერესო იქნება...

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საპატრიარქოს ბიზნესები

არასამთავრობო ორგანიზაციების მტკიცებით, საპატრიარქოს ბიზნესკომპანიები გადასახადებისგან გათავისუფლებულია

2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს საპატრიარქო 25 000 000 ლარით დაფინანსდება. სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-6 მუხლის მეოთხე პუნქტით, ეკლესიის დაფინანსების წყაროა, როგორც ნებაყოფილობითი შემოწირულობა, ასევე, სამეწარმეო შემოსავლები, ინვესტიციები, გრანტები, დახმარებები და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული სხვა შემოსავლები. ბოლო დროს, საპატრიარქოს ბალანსზე ჩარიცხულ თანხებსა და ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებულ ბიზნესკომპანიებთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად საუბრობდნენ, რასაც ამ ორგანიზაციების კვლევებიც ადასტურებს.

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, ცალკეული ექსპერტი და თეოლოგი ღიად აცხადებს, რომ ეკლესიის საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს მოსახლეობა მწირ ინფორმაციას ფლობს. სინამდვილეში, ამგვარი ინფორმაცია სულაც არაა დაფარული და ეს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის მიხედვითაც დასტურდება. „ვერსიამ“ გაარკვია, რომ 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან, 25 მილიონი ლარის გარდა, საპატრიარქოსა და მასზე დაქვემდებარებული დაწესებულებები დამატებით 21 749 000 ლარით ფინანსდებიან.

მაგალითად, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებებისთვის — 800 000 ლარია გამოყოფილი; სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი 14 683 000 ლარით ფინანსდება; არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი (ააიპ) „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი“ — 150 000 ლარით; საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი — 959 000 ლარით; საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი — 261 000 ლარით; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი — 447 000 ლარით; საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი — 2 000 000 ლარით; საქართველოს საპატრიარქოს ააიპ „ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის“ გადასაცემი გრანტი — 2 449 000 ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საპატრიარქოსთვის დამატებით გადარიცხულ 21 749 000 ლარში დაცვის პოლიციის დეპარტამენტისთვის გამოყოფილი თანხა არ შედის. არადა, ამ მიზნით, ბიუჯეტიდან კიდევ 9 713 000 ლარი გამოყვეს, რათა ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონე ამაღლდეს.

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევების თანახმად, სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გადასახადებისგან გათავისუფლებულია და მის ბალანსზე ჩარიცხული თანხების მიზნობრიობასაც თავად განკარგავს. ამავე კვლევებით, ეკლესიის დაფინანსების კიდევ ერთი წყარო ადგილობრივი მუნიციპალიტეტებია, რომლებიც საპატრიარქოს ბალანსზე, ყოველწლიურად საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას რიცხავენ. მაგალითად, 2014 წელს, დედაქალაქის ბიუჯეტიდან საპატრიარქოს 15 000 ლარი გადაურიცხეს, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან — 650 000 ლარი.

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) და „ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების“ (TDI) ერთობლივი კვლევის შედეგების მიხედვით, 2002-დან 2015 წლის ჩათვლით, ხელისუფლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპატრიარქოსთვის გადარიცხულმა თანხამ 250 მილიონ ლარს გადააჭარბა. 2007-2013 წლებში, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 10 806 207 ლარი მიიღო. რაც შეეხება თვითმმართველი ქალაქებიდან (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი), საპატრიარქოს ბალანსზე გადარიცხულ თანხებს, საპატრიარქოსთვის 2013 წელს 1 666 525 ლარი გამოყვეს, თბილისის მერიამ და რაიონულმა გამგეობებმა — 1 458 962 ლარი.

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის კვლევებით დასტურდება, რომ საქართველოს საპატრიარქოს 84 არასამეწარმეო იურიდიული პირი (ააიპ) აქვს დაფუძნებული, მის დაქვემდებარებაშია 90-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება და 16 ფონდი. საჯარო რეესტრის მონაცემებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულ, ან ნაწილობრივ მფლობელობაში 27 ბიზნესკომპანია ფიქსირდება. მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი, ყველაზე ცნობილი ბიზნესი მინერალური წყალი „სნოა“, სადაც საპატრიარქო 20%-იან წილს ფლობს, თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ბუნდოვანია, იხდიან თუ არა საპატრიარქო და მასში შემავალი ბიზნესკომპანიები საშემოსავლო გადასახადებს. შესაბამისად, ეს კვლევები სხვადასხვა თეოლოგის კომენტარებითაა გაჯერებული, რომლებიც აცხადებენ, რომ საპატრიარქოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი ბიზნესკომპანიები გადასახადებისგან გათავისუფლებულია.

„ვერსია“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ხატია მოისწრაფიშვილს დაუკავშირდა. მისი თქმით, საქართველოს საგადასახადო კოდექსით მსგავსი ტიპის შეღავათი გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული ნებისმიერი ბიზნესკომპანია იხდის იმ გადასახადებს, რაც კანონმდებლობითაა დადგენილი!

საქართველოს მთავრობამ არაერთხელ გადასცა მიწები საქართველოს საპატრიარქოს სიმბოლურ ფასად — 1 ლარად, ან სრულიად უსასყიდლოდ, ასევე, სკვერის ტერიტორიები და შენობა-ნაგებობები ქვეყნის მასშტაბით. 2007 წლის 30 დეკემბერს, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ხელი 10 ბრძანებულებას მოაწერა, რომლითაც საპატრიარქოს უსასყიდლოდ გადასცა რამდენიმე ჰექტარი ტყის ფონდის მართვა. ამასთანავე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 1 ლარად, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში გადასცა საპატრიარქოს უძრავი ქონება. მაგალითად, 2008 წელს, პირდაპირი მიყიდვის წესით, საქართველოს საპატრიარქომ 1 ლარად მიიღო თბილისში, სიონის ქ. 13/40-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, რომლის საერთო ფართობია 4 971 44 კვ.მ. და მასზე დამაგრებული 2 272 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ამავე წელს, საპატრიარქომ ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე კინოთეატრ „ხულოს“ შენობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი მიიღო. 2010 წელს, პირდაპირი მიყიდვის წესით, საქართველოს საპატრიარქოს საკუთრება გახდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, გარდაბანში, რუსთავში, დაბა ასპინძასა და თბილისში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები.

თბილისის მერიამ, 2008-2010 წლებში, საქართველოს საპატრიარქოს დედაქალაქის სხვადასხვა ადგილას, რამდენიმე ათეული ჰექტარი მიწა და შენობა-ნაგებობები 1 ლარად გადასცა. მაგალითად, სოფელ დიღომში მდებარე მიწის ნაკვეთი; საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლთა ქუჩაზე, შპს „აგრეგატის“ მიმდებარედ 1 800 კვ.მ. ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; ბაგებში, ავტოინსპექციის პოსტის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთი და ფანასკერტელის ქუჩაზე 14-ში არსებული 2 505 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგინა, რომ 2002-დან 2013 წლის ჩათვლით, ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა, საქართველოს საპატრიარქოს 16 მილიონი ლარი გამოუყვეს. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, მუნიციპალიტეტები ეპარქიებს ეხმარებიან, როგორც მცირე, ასევე, სოლიდური ფულადი სუბსიდიებით, აფინანსებენ სხვადასხვა ღონისძიებას, გადასცემენ უძრავ და მოძრავ ქონებას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ეს კვლევა „ვერსიამ“ 2013 წელს უკვე გამოაქვეყნა, სადაც მითითებულია, რომ ვანის მუნიციპალიტეტმა 2011-2012 წლებში, ადგილობრივ ეპარქიას 280 000 ლარი გამოუყო; 2013 წელს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა – 90 000 ლარი; 2009 წელს, სამტრედიის მუნიციპალიტეტმა – 182 000 ლარი; 2010 წელს, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტმა ჰერეთისა და ნეკრესის ეპარქიას – 31 805 ლარი; 2010 წელს, მცხეთის მუნიციპალიტეტმა სვეტიცხოვლის ტაძრის მიმდებარედ მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობისათვის 1 118 275 ლარი გამოყო; 2012 წელს, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტმა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიის მშენებლობისათვის – 200 000 ლარი; 2012 წლის 1 ნოემბრამდე, ფოთის მერიამ ფოთის ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარი აღდგენა-რეკონსტრუქციისათვის 5 000 000 ლარი გამოყო, 2012 წლის 1 ნოემბრიდან დღემდე კი – 550 000 ლარი.

გარდა ამისა, ბათუმში, ბესიკისა და ვაჟა ფშაველას ქუჩების კვეთაში მდებარე 1 740 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთარებაში ირიცხებოდა, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად — 1 ლარად გადასცეს საქართველოს საპატრიარქოს. ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ, ეკლესიისათვის გამოყოფილი სუბსიდია თვეში საშუალოდ 6 000 ლარს შეადგენდა. ამავე კვლევით დადგინდა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, მთელ რიგ შემთხვევებში, ფინანსურად არა საპატრიარქოს ან ადგილობრივ ეპარქიას, არამედ, ფიზიკურ პირებს ეხმარებოდა, რომლებიც სასულიერო პირები არიან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ კვლევის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე, 2006-2012 წლებში, სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების მიზნით, 8 388 200 ლარი დაიხარჯა. გარდა ამისა, 2006-2012 წლებში, საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს 10 401 087 ლარი გამოუყო, საიდანაც ეკლესიებისთვის ავტომანქანების შესაძენად 2 170 290 ლარი დაიხარჯა. 2008 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე 2 დღით ადრე კი, სარეზერვო ფონდიდან საპატრიარქოს 1 700 000 ლარი გადაურიცხეს.

„ვერსია“ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივანს, დეკანოზ **მიქაელ ბოტკოველს** დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა: **„სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების კვლევებში მითითებული ინფორმაცია, თითქოს საპატრიარქოს წილობრივი, ან სრული მონაწილეობით, ქვეყნის მასშტაბით, 27 ბიზნესკომპანიაა რეგისტრირებული, ჩემთვის უცნობია!“**

ვერსიანიუსი

პოლიციამ დიდი ოდენობით ე.წ. ექსტაზი ამოიღო



შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს მეორე განყოფილების და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გენადი ჭ. დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 13 აბი ე.წ. ექსტაზი ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,3669 გრ 3,4-მეთილენდიოქსიმეტამფეტამინს შეიცავს. ნარკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად, დაკავებულს ბუპრენორფინის, ტეტრაჰიდროკანაბინოლის, ამფეტამინის, მეტამფეტამინის და მდმა-ს მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით და 273-ე მუხლით).

„ვერსიიანიუსი“

მამუკა მდინარაძე: „მოსამართლეები უნდა გავაკრიტიკოთ, მაგრამ მათზე ზეწოლა და შანტაჟი გაუმართლებელია!“

ბათო ჯაფარიძე

„თუ სახელმწიფო, საზოგადოება და არასამთავრობო სექტორი დაუშვებს, რომ მოსამართლის მიმართულებით ვისაც რა უნდა, ის თქვას, ქვეყნისთვის ამაზე დამღუპველს ვერაფერს მოვიფიქრებთ. სწორედ ამას ვამბობდით რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებაში. სწორედ ეს განაპირობა წინა დღეების კამპანიამ სასამართლოს მიმართ და შედეგმაც არ დააყოვნა. ნამდვილად არ ვიცი, რამდენად არგუმენტირებულია კორტების საქმის განაჩენი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მივიდეთ იმ შედეგამდე, რომ მოსამართლის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ბრძოლის იარაღი, სასამართლოს სხვა ინსტანციების ნაცვლად, ნეგატიური პიარი და ზემოქმედების სხვადასხვა გაუმართლებელი ხერხები არ უნდა იყოს!“ — ეს განცხადება „ადვოკატთა ალიანსის“ თავმჯდომარემ, მამუკა მდინარაძე სასამართლოს წინააღმდეგ აგორებულ პიარკამპანიასთან დაკავშირებით გააკეთა. კონკრეტულად რამ განაპირობა ამ განცხადების გაკეთება და რას ფიქრობს ცნობილი ადვოკატი სასამართლოში დღეს მიმდინარე პროცესებზე? — ამაზე თავად გვიამბობს.

— ჩემი აზრით, სასამართლო ის ორგანოა, რომლის დამოუკიდებლობის ხარისხი და ავტორიტეტი სახელმწიფოს ფუნქციონირებაზეა პასუხისმგებელი. შესაბამისად, თუ სასამართლოს მიმართულებით ხელის გაშვერა ადვილი საქმე იქნება, ის სიკეთეები დაირღვევა, რაც ახლა გვაქვს. როცა აგორდა პირველად უარყოფითი პიარი, რომელიც მიმართული იყო იუსტიციის საბჭოს წევრთა მიმართ, აქაოდა, იუსტიციის საბჭოს წევრებმა ეს არ უნდა გააკეთონ, ის არ უნდა გააკეთონ, თორემ მიტინგებს მოვაწყობთო, უკვე საგანგაშო იყო. ეს განცხადება ყველა სახელმწიფო მოხელემ, არასამთავრობო ორგანიზაციამ თუ ნებისმიერმა რიგითმა ადამიანმა უნდა აღიქვას როგორც ზეწოლა და არ უნდა დაუშვას. ამას წავუყრუეთ და მოხდა ის, რაც მოხდა — მოსამართლეს დააბრალეს ქრთამის აღება. ამის დაშვება არ შეიძლება, სასამართლოზე ხელის გაშვერა ძნელად გასაბედი უნდა იყოს და არგუმენტების გარეშე გაჟღერებული ბრალდების ავტორები უნდა დაისაჯონ... არ ვამბობ, რომ კრიტიკა არ შეიძლება, კრიტიკას ყველა მოსამართლე უნდა შეეგუოს და იცოდეს, რომ მისი გადაწყვეტილება ვიღაცას ან მოეწონება, ან არა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოსამართლეს ბრალი წაუყენო. არის სხვადასხვა ინსტანცია და იმ ინსტანციებში უნდა გაგრძელდეს ბრძოლა. ადვოკატი ვარ და მოსამართლის გადაწყვეტილება ხშირად არ მომწონს, მაგრამ სხვა ინსტანციაში მივდივარ და არ ვამბობ, შიმშილობას დავიწყებ, ან მიტინგს მოვაწყობ-მეთქი.

— ბატონო მამუკა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ყველაფერი ეს წინა წლებმა მოიტანა, როცა სასამართლო და მოსამართლეები პროკურატურის სანოტარო კანტორად იყო ქცეული, თქვენ, ადვოკატები კი ჩვეულებრივი შუამავლები იყავით?

— გეთანხმებით, რომ სასამართლოს მიმართ უნდობლობა სწორედ იმ წლებმა მოიტანა. ჩვენ, ყველანი ვხედავდით, როგორ იქცეოდა სასამართლო, მაგრამ... თუ საქმეს ასე მივუდგებით, გამოვა, რომ 2003-2012 წლებში ყველა მოსამართლე და პროკურორი იმ სისტემასთან იყო მეტ-ნაკლებად დაკავშირებული. მაშინ, ნებისმიერს შეგვიძლია წავუყენოთ პრეტენზია და ყველა ძალოვანი, ყველა მოსამართლე გავუშვათ სახლში და ახლები საქმეს, რაც უტოპიაა. ნებისმიერ მოსამართლეს შეიძლება გამოვუჩხრიკოთ ისეთი საქმე, რომელზეც კითხვები იქნება. არ მოვერიდები თქმას: მოსამართლეები იყვნენ იმ სისტემის მსხვერპლნი, რომელიც მაშინ შეიქმნა და არამარტო მოსამართლეები, ბევრი ადვოკატიც ასე იყო. მაგალითად მე, ჩემი კლიენტების ძირითადი ნაწილის მოთხოვნით, პროცესზე ვერ ვედავებოდი პროკურორს, რომ არ გაბრაზებულიყო და ვამბობდი, მოდით, ეს კარგი კაცია, შვილები ჰყავს, ავადმყოფი მშობლები, ეგებ, სასჯელი შევუმსუბუქოთ-მეთქი. ეს იყო მაშინდელი რეალობა, რომელშიც ყველა ერთად ვცხოვრობდით, მაგრამ ახლა მოსამართლეებზე ზეწოლა და შანტაჟის ენით საუბარი გაუმართლებელია. კიდევ ვიმეორებ: არსებობს სხვადასხვა ინსტანცია, რომელშიც შეიძლება გაწყვეტილების გასაჩივრება და დავა. თავისუფლების სიომ დაბერა სასამართლო სისტემაში და ახლა მივადგეთ და ესეც ჩავჭრათ, გავანადგუროთ, არ გამოვა, რა. მიტინგებით მუქარა და შანტაჟი, რბილად რომ ვთქვათ, არ არის ლამაზი.

— ბატონო მამუკა, ანუ შევეშვათ კრიტიკას და სხვადასხვა ინსტანციებში ვიბრძოლოთ, არა?

— დიახ... ოღონდ კრიტიკას კი არა, შანტაჟს შევეშვათ ანუ ნუ ვიტყვით, ამას თუ არ გააკეთებს მოსამართლე, ავდგები და პროტესტის რადიკალურ ზომას მივმართავ, მიტინგი იქნება ეს, შიმშილობა თუ კვერცხების სროლა. გაასაჩივრე, სხვა ინსტანციაში წადი და...

— საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სად გავექცეთ, სად გავასაჩივროთ?

— საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერსად გავექცევით და ვერც გავასაჩივრებთ.

— კეთილი... ცოტა ხნის წინ, საკონსტიტუციო სასამართლომ „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ მიანიშნებს და აღძრავს სერიოზულ ეჭვს, რომ ეს იყო ერთი კონკრეტული პარტიის ინტერესზე მორგებული გადაწყვეტილება. რა ქნან იმ ადამიანებმა, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება არ მოსწონთ? გასაჩივრებით ვერ ასაჩივრებენ, თქვენ ამბობთ, არ გააპროტესტოთ და არ გააკრიტიკოთო და რა ვქნათ ამ შემთხვევაში?

— არ მინდა, ისე გაიგოთ ჩემი პოზიცია, რომ სასამართლოს გაკრიტიკება არ შეიძლება. პირიქით, ჩვენ უნდა გავაკრიტიკოთ, რაც შეიძლება მეტჯერ და რაც შეიძლება მწვავედ. უბრალოდ, მოსამართლეებს არ უნდა ვესაუბროთ ულტიმატუმის ენით. არ უნდა ჩანდეს ისეთი ზრახვა, რომ თუ სასამართლოს რომელიმე წარმომადგენელი არ მოიქცევა ისე, როგორც ამა თუ იმ მხარეს სურს, მოხდება სასამართლოზე ზემოქმედება და ზეწოლა აქციების სახით თუ სხვა საპროტესტო გამოსვლებით. მაგალითისთვის, რომ ამბობდნენ ლევან მურუსიძის არჩევის შემთხვევაში მოვაწყობთ სირცხვილის კორიდორებსო... ბადრი კოჭლამაზაშვილმა აიღო ქრთამიო... არ მომწონს ეს განცხადებები...

— გიორგი პაპუაშვილმა გაატარა ნაციონალური მოძრაობის ინტერესები... ეს განცხადება?!

— პარტიული ინტერესი გაატარა და არასწორად მოიქცა, კიდევ ჯდება კრიტიკის ფარგლებში, მაგრამ რომ ვთქვა, თუ პაპუაშვილი კიდევ ერთხელ მოიქცევა ასე, მივალ და მის სახლთან დავწვები, ვიშიმშილებ და თავს დავიწვავ-მეთქი, არის ზეწოლა, მაგრამ არ მომწონს პაპუაშვილის გადაწყვეტილება ამიტომ და ამიტომ, ეს მისაღებია...

სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის სამი პირი დააკავეს

შსს-ს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, პირველი სამმართველოს (ბათუმი) №1 სასაზღვრო სექტორის (სარფი) დასაცავ მონაკვეთზე ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბანგლადეშის რესპუბლიკის მოქალაქეები — 1992 წელს დაბადებული მდ ჯაბედ ხ, 1992 წელს დაბადებული მოჰამმად ჯაჰიდურ რეჰან რ. და 1969 წელს დაბადებული მდ აბდულ ა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულები, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთას თურქეთის რესპუბლიკის მიმართულებით ცდილობდნენ.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ, ჯგუფურად გადაკვეთის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 19-344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით). გამოძიებას სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

„ვერსიანიუსი“

ვერსიანიუსი

შსს-მ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის, ახმეტის რაიონული სამმართველოს და კახეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ვახტანგ ნ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ვახტანგ ნ-მ, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში, თავის საცხოვრებელ სახლში, 1994 წელს დაბადებული ილია მ. ნაჯახით მოკლა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილზევე დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი — ნაჯახი ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

შსს-ს ძიუდოს კლუბის სპორტსმენები თბილისში გამარჯვებულები დაბრუნდნენ

შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბის წევრები, საქართველოს ნაკრების ძიუდოისტები ავთანდილ ჭრიკიშვილი და ნუგზარ ტატალაშვილი ტოკიოში გამართული ტურნირიდან გამარჯვებულები დაბრუნდნენ. მათ 4-6 დეკემბერს, ტოკიოში გამართულ პრესტიჟულ ტურნირზე ოქროსა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

გრან-სლემის პრიზიორ სპორტსმენებს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დახვდნენ.

81 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ძიუდოისტი ავთანდილ ჭრიკიშვილი ტოკიოს გრან-სლემის ჩემპიონი გახდა. იგი პირველი ქართველი სპორტსმენია, ვინც ტოკიოს პრესტიჟულ ტურნირზე საქართველოს დროშა ასწია და ჰიმნი შეასრულა. შსს-ს ძიუდოს სპორტული კლუბის წევრმა 33 წლის შემდეგ ტოკიოს გრან-სლემის საუკეთესო შედეგი გაიმეორა — 1982 წელს, ტოკიოში დავით ბოდაველმა გაიმარჯვა, მას შემდეგ კი მისი მოგება ქართველთაგან ვერავინ შეძლო.

ავთანდილ ჭრიკიშვილმა პირველივე შეხვედრაში იაპონელ მეტოქეს — კეიტა ნაგაშიმას ვაზარით სძლია, ხოლო ჰოლანდიელი მეტოქე ფრენკ დე უაიტი — იუკო იპონით დაამარცხა. ავთანდილ ჭრიკიშვილმა ასევე სძლია ბერძენ რომან მასტოპულოსს, ფინალურ შეხვედრაში კი კორეელი სპორტსმენი დაამარცხა.

ტურნირზე ბრინჯაოს მედალი შსს-ს ძიუდოს კლუბის კიდევ ერთმა წევრმა, ძიუდოისტმა ნუგზარ ტატალაშვილმა მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ლაშა შავდათუაშვილი დაამარცხა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ძიუდოს სპორტული კლუბი „მებრძოლი“, შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელშეწყობით, 2014 წლის მაისში დაარსდა. კლუბის წევრთა უმრავლესობა მსოფლიო ჩემპიონატებისა და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორია. კლუბმა დაარსების პირველივე წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

„ვერსიანიუსი“

პატიმარი №0578

გისოსებს მიღმა, სხვა რამეებთან ერთად, საქართველოს გეოგრაფიასაც სწავლობ. არათუ ყველა რაიონიდან, თითქმის ყველა სოფლიდან შეხვდებით იქ პატიმარს და, რაღა თქმა უნდა, გაცნობის შემდეგ იმასაც იგებთ, მეზობელი ვინ ჰყავს, როგორი სიტუაციაა... ზოგი სახუმარო ამბავს იხსენებს, ზოგიც — სევდიანს...

ბორჯომელი ედიკა 60 წლის რუს „ნაშასთან“ „ზასაობისთვის“ 4 წლით დააპატიმრეს

ძარცვა სიყვარულის სახელით

ბორჯომსა და მისი მიმდებარე სოფლებიდან პატიმრები გისოსებს მიღმა, ძირითადად, ბრაკონიერობისა და ხე-ტყის უკანონო ჩეხვის გამო ხვდებიან. იქაური კალმახი გემრიელია, ხე-ტყე — სანაქებო და ამის ბრალია, შეჭირვებული მოსახლეობა კრიმინალს რომ სჩადის და თავისუფლების ფასად, ოჯახის გამოკვებას ცდილობს, თუმცა არიან ჩამოყალიბებული კრიმინალებიც, ისეთები, რომლებიც არც თევზზე „ჩალიჩობენ“, არც — ხე-ტყეზე და უბრალოდ, იპარავენ, ძარცვავენ, ყაჩაღობენ. მოგეხსენებათ, ბორჯომი მსოფლიო ბრენდია და ამის გარდა, საბჭოთა კავშირის დროს, სანატრელი საკურორტო ზონაც იყო. ახსოვთ საბჭოთა მოქალაქეებს იქაური წყლის გემო და სუფთა ჰაერი. შესაბამისად, არცთუ იშვიათად, ბორჯომში ახლაც ჩამოდიან დასასვენებლად პოსტსაბჭოთა სივრციდან.

ედიკა და გაბრო ბორჯომელები იყვნენ. ბავშვობის მეგობრები ბაღიდან ერთად მოდიოდნენ, მერე — სკოლაშიც ერთად, მერე... ციხეშიც ერთად ყოფნა არგუნა ბედმა. მათი დაჭერის ისტორია იმდენად სახალისო იყო, რომ ახლამოსულ პატიმრებს მუდმივად უყვებოდნენ, ძველებიც მეასედ თუ მეათასედ ისმენდნენ და მაინც ყველას ეცინებოდა.

მოკლედ, ბორჯომში მოსკოველი წყვილი ჩავიდა დასასვენებლად. 60 წელს გადაცილებული ცოლ-ქმარი ისე იქცეოდა, როგორც მათი ასაკის ხალხს შეეფერება — დილით საუზმე, მერე სეირნობა, მერე სადილი, ერთი საათი ძილი, სამხარი და მსუბუქი ვახშამი. ერთი უცნაურობა სჭირდა ცოლ-ქმარს — სასტუმროს ჭურჭელს არ იყენებდა, თავისი თეფშითა და დანა-ჩანგლით დადიოდა საჭმელად. სწორედ ამ თეფშებმა მიიპყრეს ედიკას და გაბროს ყურადღება. უფრო სწორედ, გაბროს და, რომელიც სასტუმროში მიმტანად მუშაობდა, აღფრთოვანებას არ მალავდა თეფშებით და ამბობდა, თითო ალბათ, თბილისის ბინის ფასი ღირსო.

„მოკლედ, ჩემი და იმ თეფშების გარდა არაფერზე საუბრობდა. ამბობდა, შუაში დიდი ოქროს ნაკეთობა აქვს, ბუნების როგორც კი ამას ეტყოდნენ, გოგონა მაშინვე მშობლებს ჩაუკაკლავდა ყველაფერს.

„ის ქალი უნდა შევაბათ“, — თქვა ერთ დღეს ედიკამ და გაბროს თვალები შუბლზე აუვიდა. მერე მიხვდა, ეს ერთ-ერთი რეალური ვარიანტი იყო და ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეში ჩავარდებოდა წყვილი, როცა მათ კართან დილით ვარდების თაიგული გაჩნდა. თავიდან სასტუმროს სიურპრიზი ეგონათ, მაგრამ მერე, როცა გაარკვიეს, რომ სასტუმროს პერსონალი არაფერ შუაში იყო, ბებრულად იცინეს, ქალს თაიგული მთელი დღე ხელიდან არ გაუშვია.

60 წლის ქალის „შებმა“ სამი დღე გაგრძელდა და იმით დასრულდა, რომ სადილად მიტანილ წვნიანში ბიჭებმა დასაძინებელი წამალი ჩაყარეს. სადილის შემდეგ, წყვილი ისედაც იძინებდა, მაგრამ ბიჭებს იმედი ჰქონდათ, რომ კაცი დიდ ხანს ვერ გაიღვიძებდა, ქალი მარტო გამოვიდოდა სასეირნოდ და... მართლაც, ნაძვნარს ქალი მარტო აუყვა.

„წინა ღამეს ვფიქრობდით, რა ტექსტი უნდა ეთქვა ედიკას იმ ქალისთვის. ედიკას იმიტომ, რომ მე მაგდენი რუსული არ ვიცი. ჰოდა, აეტუზა ეს ედიკა შუა ნაძვნარში ამ ქალს და სიყვარულის ახსნა დაუწყო, უთხრა, რომ მამამისისგან ხშირად ესმოდა საოცარ რუს ქალებზე ამბები და პირველი რუსი ქალი, რომელიც ცოცხლად ნახა, სწორედ ეს ქალბატონი იყო და ასაკის მიუხედავად, გადაირია და შეუყვარდა“, — ყოველ მოყოლაზე გაბრო მეტს ვეღარ აგრძელებდა იმიტომ, რომ...

აეტუზა 60 წლის ქალს ედიკა, მიყვარხარო, ვგიჟდებიო, უშენოდ არ შემიძლიაო და ჩამოჯდა ნაძვის ძირში ქალი, თუ გიყვარვარ, მომეფერეო.

„შორიდან ვუყურებდი ყველაფერს, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ დასხდნენ ნაძვის ძირში, რატომ უსვამდა ედიკა ზურგზე ნაზად ხელს იმ ქალს და მერე რატომ დაეძგერა და კოცნა დაუწყო. ვერც იმას მივხვდი, ზუსტად 30 წამში რატომ აერია გული ედოს და...“, — ისევ ბჟირდებოდა გაბრო.

„ნაძვის ძირში რომ დავსხედით, მხარზე ხელი მოვუსვი, ვიცოდი, შარში ვიყავი, მაგრამ იმას როგორ ვიფიქრებდი, მაკოცეო, თუ მეტყოდა. ვაკოცე, ჯერ გაუბედავად, მერე იმ თეფშების ხათრით უფრო თამამად და როლში რომ შევედი, ამ ქალმა პადაჟდი სინოკო, თავი განია, პირიდან პროთეზი გამოიღო, ჯიბეში ჩაიდო და... მანდ ამერია გული... მეც ადამიანი ვარ ხომ?!“ — ამას უკვე ედო თავის გასამართლებლად ჰყვებოდა.

აკივლდა ქალი, ბოლო ხმაზე კიოდა. ნაძვნარში მოსეირნე სამართალდამცავები მაშინვე იქ გაჩნდნენ, თუმცა მანამდე გაბრომ მიირბინა, პირზე ხელი ააფარეს ქალს, მაგრამ გვიანი იყო. ორივეს ხელი გადაუგრიხეს და...

„იქვე, ბუჩქებივით იყო და ერთმა პოლიციელმა, ვიღაცის ფეხი ჩანსო. მივიდნენ, ფეხის პატრონი აინტერესებდათ და... ძალიან ცნობილი მოჭიდავე და ძალიან ცნობილი მომღერალი გამოათრიეს. ორივე შიშველი იყო, სექსი ჰქონდათ ნაძვნარში და სექსს ვინ ჩიოდა, ასეთი ცნობილი სახეები რომ დავინახეთ, ლამის ყველა გადავირიეთ. ისევ იმ რუსმა ქალმა მოგვიყვანა აზრზე, რას უყურებთ, შიშველი კაცი არ გინახავთ, ამათ მიხედეთო. მერე ჩვენება მისცა, მძარცვავდნენო და ედიკაზე თქვა, ამ უნამუსომ, რომ არ მეყვირა, ბებიის ტოლა ქალს კოცნა დამიწყოო. პომადა ეცხო ედოს ტუჩებზე და გადაირივნენ პოლიციელები, სულ ნეკროფილი ეძახეს. იმას როგორ ვიტყოდით, თეფშები უნდა მოგვეპარაო. ამიტომ, ძარცვის ბრალდებით მოგვცეს თითოს ოთხი წელი და გამოგვიშვეს აქეთ“, — ასრულებდა ამბავს გაბრო, მაგრამ ვინ ასრულებინებდა, ყველას იმ მოჭიდავის და მომღერლის ისტორია აინტერესებდა. რა თქმა უნდა, სახელი და გვარი არ დაუმალავთ, თუმცა აქ დაწერა არაეთიკურია.

„იმ მომღერალი ქალის დანახვა არ გამკვირვებია, ბორჯომში ხშირად ჩამოდიოდა და ხან ვისთან ერთად იყო, ხან — ვისთან. ის მოჭიდავე მეგონა ზედმეტად სერიოზული კაცი, მაგრამ... კი იდგა იქ პატარა ბავშვივით თავდახრილი და პოლიციელებს ეუბნებოდა, არ გამიბაზროთო“, — იცინოდა გაბრო.

საქართველოს „ღორის გრიპი“ ისევ უტევს

„გრიპი გრიპია, გინდ ღორის იყოს და გინდ — ბეჰემოთის!“

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

მაღალი ტემპერატურა, ხველა, ყელის ტკივილი, სისუსტე — ეს ე.წ ღორის გრიპის H1N1-ს სიმპტომებია, თუმცა ისინი ჩვეულებრივი გრიპისგან თითქოს არაფრით განსხვავდება. ამ ვირუსის პანდემიამ, წლების წინ, ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. დღეს ვითარება შეცვლილია და ამ ინფექციასაც ჩვეულებრივი გრიპისგან თითქოს არაფრით განასხვავებენ — ამბობენ, კაცობრიობას იმუნიტეტი გამოუმუშავდაო... არადა, საკითხავია, რამდენად შეიძლება ეს გახდეს დამამშვიდებელი გარემოება, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა საქართველოში H1N1-ის უკვე შვიდი დადასტურებული შემთხვევაა დაფიქსირებული და იმის გათვალისწინებით, რომ ზამთარი ახლა დაიწყო, სპეციალისტები ინფექციის გავრცელების პიკს თებერვლისთვის ვარაუდობენ.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე პაატა იმნაძე „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ არსებულ მონაცემებში საგანგაშო არაფერია:

— ზამთარია და გრიპი რომ ზამთარშია, აქ გასაკვირი არაფერია... არსებული ვითარება საგანგაშო ნამდვილად არაა. შარშან ორჯერ მეტი შემთხვევა იყო, ჰოსპიტალიზაცია კი იგივეა, რაც შარშან და შარშანწინ, პოლიკლინიკებში მიმართვიანობაც, წინა წელთან შედარებით, ორჯერ ნაკლებია

— არსებულ ვითარებაში გასაკვირი ისაა, ბატონო პაატა, რომ წლების წინ, როცა პანდემიამ ლამის მსოფლიო მოიცვა, თქვენ „ღორის გრიპის“ ეპიდემიაზე ლაპარაკიც არ გინდოდათ, ახლა კი ხმამაღლა აცხადებთ, შვიდი შემთხვევა დადასტურდაო...

— H1N1 არც მაშინ იყო საშიში და არც ახლაა... გრიპი გრიპია, გინდ ღორის იყოს და გინდ — ბეჰემოთის...

— კი, მაგრამ მაშინ ამ ინფექციას ათასობით ადამიანი შეეწირა და საშიში როგორ არაა?

— 2010 წელს, ეს ვირუსი ახალი იყო, თუმცა არც მაშინ გამოირჩეოდა დიდი სიმძიმით. გრიპი გრიპია და მაშინაც ჩვეულებრივი მეთვალყურეობა ხორციელდებოდა.

— ახლა არ მითხრათ, რომ ე.წ. ტამიფლუს სკანდალიც არ არსებობდა — ამბობდნენ, „ღორის გრიპი“ ხელოვნურად შექმნილი ინფექციაა და „ტამიფლუც“ არ კურნავს. უბრალოდ, პრეპარატი მსხვილი ფარმაცევტული კომპანიებისთვის ფულის კეთების საშუალებააო...

— ყველაფერი ეს სისულელეა... პირველი პანდემია „ესპანკა“ კარგადაა აღწერილი მე-19 საუკუნეში... მაშინ სად იყო განვითარებული ლაბორატორიები, რომ ეს გაეკეთებინათ?

— გასაგებია, მაგრამ ის მიკვირს, რომ ამტკიცებთ, „ღორის გრიპი“ საშიში არ არისო, მით უმეტეს, ჩვენი მოსახლეობა ძირითადად თვითმკურნალობაზეა გადასული და ექიმთან მისვლასაც თავს მაქსიმალურად არიდებს.

— მნიშვნელობა არ აქვს, რა ტიპის გრიპია... არის სიმპტომები, როცა ექიმი აუცილებელია — ბავშვს თუ აქვს ტემპერატურა 38,5-ზე მეტი და ეს ერთ დღეზე მეტხანს გრძელდება, დიდის შემთხვევაში კი — სამ დღეზე მეტს, დაუყოვნებლივ ექიმს უნდა მიმართონ. თუ სისხლიანი ან ჩირქოვანი ნახველია, სუნთქვაც ჭირს, თვითმკურნალობა გამორიცხულია. გრიპი ყველას გვქონია, ზოგს მსუბუქად გადაგვიტანია, ზოგს — საშუალოდ და ზოგს მძიმედ.

ყოველ შემთხვევაში არსებული ვითარება პანიკის საფუძველს არ იძლევა. ხუთი წელია, ეს ვირუსი დადის და მოსახლეობის უმრავლესობას უკვე გადატანილი აქვს, შესაბამისად, იმუნიტეტიც აქვს გამომუშავებული. ახალი ვირუსი ჯერჯერობით არ არის და ამიტომაც საგანგაშო არაფერია“.

ნამდვილად არ გვინდა პანიკის დათესვა და თუ ვითარება საგანგაშო არაა, ეს მხოლოდ მისასალმებელია, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად უსაფრთხოა „ღორის გრიპი“ სიცოცხლისთვის, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ არცთუ შორეულ წარსულში, 2013 წელს, მხოლოდ საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებული 284 შემთხვევა გამოვლინდა და აქედან 22 ლეტალობით დასრულდა.

„გალთ&თაგარტმა“ და პაშა ბანკმა ქართულ საფონდო ბირჟაზე „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ობლიგაციები განათავსეს

ქართულ საფონდო ბირჟაზე, არასაფინანსო ინსტიტუტის — შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ (GWP) ობლიგაციები განთავსდა. GWP-ის 6 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციების გამოშვება „გალთ ენდ თაგარტმა“ და პაშა ბანკმა უზრუნველყვეს. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება 1000 ლარია, ხოლო ვადა — 2 წელი. კუპონის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად: ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთს დამატებული 7,5%-იანი მარჯა. შესაბამისად, ობლიგაციის ეფექტური ღირებულება, დღეის მდგომარეობით, შეადგენს წლიურ 15%-ს და გადახდა განხორციელდება ყოველკვარტლურად. საქართველოს საფონდო ბირჟაზე GWP-ის ობლიგაციის განმთავსებელი აგენტები, ერთობლივად, პაშა ბანკი და გალთ&თაგარტი“ არიან.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალური დირექტორის, **გიორგი ცხადაძის** განმარტებით, 6-მილიონიანი რესურსის ბონდების გამოშვება, კომპანიას სამომავლო გეგმებისა და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებაში დაეხმარება **„დღეს შევიკრიბეთ, რათა მოგახსენოთ GWP-სა და პაშა ბანკის ერთობლივი თანამშრომლობის შესახებ, რაშიც გვეხმარებოდა, „გალთ&თაგარტი“. ფაქტია, დღეს უფრო მეტი ფინანსური ინსტიტუტი გამოხატავს მზადყოფნას, რომ სახსრები დააბანდოს ჩვენს კომპანიაში, რადგან კომპანიის მიმართ ნდობა გაზრდილია. ამას ადასტურებს Fitch-ის რეიტინგიც, რომელიც ახლახან მიენიჭა GWP-ს. ეს არის მაქსიმალური შეფასება, რომელიც შეიძლებოდა კომპანიას მიეღო. 6 მილიონი რესურსის ბონდების გამოშვება, სამომავლო გეგმების, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში დაგვეხმარება. ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება“.**

კომპანიის ფინანსური დირექტორის, **გიორგი ვახტანგიშვილის** განმარტებით კი, ეს ობლიგაციების გამოშვების მეორე რაუნდია: **„პირველად, ობლიგაციების განთავსება მიმდინარე წლის აგვისტოში, 2.6 მლნ ლარის ოდენობით მოხდა. შესაბამისად, GWP-სთვის ეს უკვე ობლიგაციების ემისიის მეორე რაუნდია, ამჯერად უკვე 6 მილიონ ლარზე და გამოშვებული ობლიგაციები სრული მოცულობით თავსდება. GWP-ის ახალი მენეჯმენტი მზად არის, ითანამშრომლოს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტსა და ფონდებთან იმისთვის, რომ განხორციელდეს ის პროექტები, რაც მნიშვნელოვანია კომპანიის განვითარებისთვის“.**

ქართულ საფონდო ბირჟაზე GWP-ს ობლიგაციების ემისია, დადებითად შეაფასა პაშა ბანკის გენერალურმა დირექტორმა **შაჰინ მამმადოვმა.** მან, აღნიშნულ კომპანიასა და „გალთ&თაგარტთან“ თანამშრომლობას წარმატებული უწოდა და ზოგადად, იმაზეც ისაუბრა, რომ საფონდო ბირჟაზე საფინანსო ინსტიტუტის ობლიგაციების განთავსება, საფინანსო ბაზრის განვითარებისთვის, უმნიშვნელოვანესია.

შაჰინ მამმადოვი: „მოხარული ვარ, გაგიზიაროთ ასეთი სასიამოვნო სიახლე. საფინანსო ორგანიზაცია პაშა ბანკი, პაშა ჰოლდინგის ნაწილია, რომელიც ოპერირებს აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში და მსხვილ და საშუალო საწარმოებს სთავაზობს კორპორატიული თუ საინვესტიციო საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს. პაშა ბანკს აზერბაიჯანში, ფასიანი ქაღალდების გამოშვების დიდი გამოცდილება აქვს და ამ მიმართულებით, საქართველოშიც, აქტიურ მუშაობას გეგმავს. მაისში, უზრუნველვყავით ფინკა ბანკის 20 მილიონი ლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდების განთავსება. მოხარულნი ვართ, რომ ამჯერად, GWP-სა და „გალთ&თაგარტთან“ პარტნიორობაც ასევე წარმატებით შედგა. ამ თანამშრომლობით, კიდევ უფრო გავამყარეთ ურთიერთობა GWP-სთან, რასაც საფუძველი მიმდინარე წლის მარტში ჩაეყარა, როცა პაშა ბანკმა, GWP და „რუსთავის წყალი“ 22,5 მილიონი ლარის ოდენობის საკრედიტო რესურსით უზრუნველყო. მნიშვნელოვანია, რომ პირველად საქართველოში, არასაფინანსო ინსტიტუტის ობლიგაციების განთავსება ხდება, რაც საფინანსო ბაზრის განვითარების კუთხით, წინგადადგმული ნაბიჯია“.

„გალთ&თაგარტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, **არჩილ გაჩეჩილაძემ** მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც აღნიშნულ გარიგებაში მონაწილეობდა, GWP-ს კი, მიღწევა მიულოცა და წარმატება უსურვა: **„ეს ნამდვილად მიღწევაა. ვულოცავ კომპანიის მენეჯმენტს ამ ტრანშის განთავსებას. მოხარული ვარ, რომ „გალთ&თაგარტის“ მეშვეობით, კიდევ ერთი ქართული კომპანიის ობლიგაციები წარმატებით განთავსდა ქართულ საფონდო ბირჟაზე. „გალთ&თაგარტმა“ უკვე შეუწყო ხელი ჯამში, 100 მილიონი ლარის მოცულობის ადგილობრივი ობლიგაციების განთავსებას, რითაც მხარს უჭერს საქართველოში კაპიტალის ბაზრების ჩამოყალიბებას და კომპანიებისთვის, მათი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფინანსურ რესურსზე წვდომას. ამ დროისთვის, „გალთ&თაგარტი“ საკუთარი პროფესიონალთა გუნდისა და გამოცდილების წყალობით, გახდა საინვესტიციო საბანკო მომსახურების მიმწოდებელი წამყვანი კომპანია ქვეყანაში“.**

ნინო ლურსმანაშვილი

გართოება



1. წელიწადის პირველი თვე
2. ძველი საბუთების საცავი
3. მოგზაურობა
4. მეკობრეთა სპირტიანი სასმელი
5. პოლონეთის ძველი დედაქალაქი
6. ებრაელთა კულტის მსახური
7. აქლემის ნაშიერი
8. ბულგარელი წინასწარმეტყველი
9. ცხადი ჭეშმარიტება
10. რბილი მუთაქებიანი დივანი
11. აშშ-ის ტელეპრემია
12. უძვ. ქართული ცხენოსნური თამაში
13. დიდი საბანაო ჭურჭელი
14. ნუშის იტალიური ლიქიორი
15. ქართული ღვინის მარკა
16. მაუგლის მეგობარი პითონი
17. 1937წ. რეპრესიების ერთ-ერთი ორგანიზატ.
18. ქართული მხატვრული ფილმი
19. კაბარეს ცეკვა
20. ცხენების ჯოგი
21. ეთერზეთოვანი მცენარე
22. ინდოელი მოჭადრაკე, დიდოსტატი
23. შეხვედრა უმაღლეს დონეზე
24. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში
25. მენდელეევის მეცნიერება
26. თევზის ძვალი
27. აღკოჰ. სასმელი
28. ლევ ტოლსტოის „... კარენინა“
29. ძაღლის ჯიში
30. სვანური ქალღვთაება
31. განთიადის რომაული ქალღმერთი
32. ამერიკელი ექსჩოგბურთელი
33. (ძვ.) ბეწვის ქუდის მკერავი
34. აშშ-ის შტატი
35. რძის ცხიმი
36. ტკბილი სადესერტო კერძი
37. პატარა კვირტი
38. ხიდისებური ნაგებობა
39. ტიბეტური ხარი
40. შეიარაღებული ბრძოლა
41. დნეპრის უდიდესი მენაკადი
42. იგივეა, რაც შუშა
43. ახალციხის ძველი სახელწოდება
44. ორიანი კამათელზე
45. ქალაქი ირანში
46. სამი წერტილი კამათელზე
47. დამხმარე თეორემა
48. გერმანული ავტომარკა
49. მუსიკალ. გამის VI ნოტი
50. (აბრევ.) ბრიტანეთის სამეუწყლო კორპორაცია
51. გარდატეხილი სხივების გადაკეთილი
52. ვერცხლისწყლის ქლორიდი
53. არაბული ფლეიტა
54. არგენტინელი ფეხბურთელი
55. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის სახელი
56. მტკნარი წყლის დელფინი
57. ქართველ ქალთა ცეკვა
58. იალქნის დასამაგრებელი ძელი
59. საფეხურ. ასასვლელ-ჩამოსასვლელი
60. მსოფლიოს უმაღლესი მთათა სისტემა აზიაში
61. ფრიქსეს და ბერძ. მითოლოგ.
62. ტექნიკური ზეთი
63. მაყურებელთა მოწონების შეძახილი კონცერტზე

1. ზედმეტი თვით-რწმენა
2. ძვირფასი მეტალი
3.ფერიების მეფე ევროპულ მითოლოგ.
4. ორანძიანი საზღვაო გემი
5. ყირგიზეთის დედაქალაქი
6. ისტერიის შეტევა
7.ელექტრული მუხტის ერთეული
8. ძალიან მაგარი ქვა
9. მარგარიტა გოტიეს ყვავილი
10. სიშიშვლის კულტი
11.ზურიკელა ვაშალომიძის ძაღლი
12. ევროპული ფეხბურთი აშშ-ში
13.რამდენიმე სართულად გამართული თაროები
14. ქალაქი ესპანეთში
15. ყველაზე მსხვილი სისხლძარღვი
16. ავსტრალ. ველური ძაღლი
17. რეზო ესაძის კინოქალაქი
18. ექთანი „თეთრ ბაირაღებში“
19.საეკლეს. თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა
20. ტროას მეორე სახელწოდება
21. მზის საგალობელი რაჭაში
22.ულან-ბატორის ძველი სახელწოდება
23. სვეტის ფორმის ძეგლი
24. მდინარე აზიაში
25. არქიტექტ. სტილი
26. მტვრიანას შიგნითა გარსი
27. უკრაინის პარლამენტი
28. ხარების ბრძოლა
29. „კიას“ მოდელი
30.მკურნალობის რომაული ღმერთი
31. აშშ-ის შტატი
32.არაღიარებ. ქვეყანა სამხრეთ აფრიკაში
33.გერმან. ავტომარკა
34.ავსტრ. პოეტი
35.ჭადრაკის ქართველი დედოფლის სახელი
36. თუთიყუშის ჯიში
37. სამეურნეო მუშაკი
38. ამურის „იარაღი“
39. ინსტრუმენტული პიესა
40. ქართული ანბანის I ასო
41. ტროპიკული ვაშლი
42. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
43. მაროს ქმარი „გარიგებაში“
44. ქვეყნის ნაწილი
45. ხისძირიანი ფეხსაცმელი
46. პატარა დროშა
47. შალის საკოსტიუმე ქსოვილი
48.თმის მცენარეული საღებავი
49. ესპანელი ჩოგბურთელი
50.პრიმიტიული თეატრალური სანახაობა
51. მომკილი თავთავის კონა
52. მსახიობი ... პაჩინო
53. ისრის წვერი
54. სპორტული გაერთიანება
55. ესპანური ავტომარკა
56. ერთერთი მშობელი
57.ჰზის ღმ. ინკების მითოლოგიაში
58. ცისფერი ნილოსი ეთიოპიაში
59. მუსიკალ. გამის VII ნოტი
60.ფრანგი მომღერალი
61.ჭადრაკის ფიგურა
62. ინგლისური ლუდი
63.ვიდეო-რგოლი
64.მდინ. ციმბირში
65. ვაზების მწკრივი ვენახში

ძილის პოზა ადამიანის ხასიათზე მეტყველებს

ფსიქოლოგებმა საინტერესო რამ აღმოაჩინეს — თურმე, ადამიანის ძილის პოზა მის ხასიათს უკავშირდება. ამის დასადგენად სპეციალისტებმა მოხალისეების გამოკითხვაც ჩაატარეს და მათი ფსიქოლოგიური პორტრეტი შეადგინეს. შედეგების მიხედვით გარკვა, რომ ვისაც საწოლის მარცხენა ნახევარზე უყვარს ძილი, ყველაზე მეტად გაუმართლა. სწორედ ასეთი მდებარეობა, სწავლულების მოსაზრებით, განსაზღვრავს ადამიანის მეგობრულობას და გულისხმიერებას. გარდა ამისა, ისინი სამსახურშიც წარმატებას აღწევენ და დილაობით უკეთეს განწყობაზე იღვიძებენ. იმ მოხალისეებს, ვისაც ამ პოზაში ეძინა, ყველაზე მეტი მეგობარი ჰყავდა. ამავდროულად, საწოლის მარჯვენა მხარის მოყვარული ადამიანები 9%-ით მეტად მარტოსულები არიან. თუ მძინარე ადამიანი გვერდზე წევს და ხელები სხეულის გასწვრივ აქვს, რაციონალურობით და სიმშვიდით გამოირჩევა. ხოლო თუ ხელები ზემოთ, წინ უწყვია, შეიძლება ცინიკოსად ჩავთვალოთ. ძილის დროს „ჯარისკაცის“ პოზა ადამიანის ერთგულებასა და პატიოსნებაზე მეტყველებს, მუცელზე წოლა კი მეოცნებეებსა და ძლიერ პიროვნებებს ახასიათებს.

სტრესი კბილებს გნებს

სტრესი საშიშია კბილებისთვის, — ასეთ დასკვნას აკეთებენ შვეიცარიელი სწავლულები. ამ მოულოდნელი კავშირის დადგენაში მათ 50 სტუდენტი-მედიკოსი, კბილები და ფსიქიკა დაეხმარათ, რაც დეტალურად შეისწავლეს ფსიქოლოგებმა და სტომატოლოგებმა. მოხალისე სტუდენტები ორ ჯგუფად დაყვეს, პირველის წევრებს ერთი თვის განმავლობაში რთული სესიისთვის ამზადებდნენ, მეორე ჯგუფის წევრები კი ჩვეულებრივ მეცადინეობებს ესწრებოდნენ. აღმოჩნდა, რომ სესიების წინ სტრესი უარყოფითად მოქმედებს კბილებისა და ღრძილების მდგომარეობაზე: თითქმის ყველა სტუდენტს პირის ღრუს მდგომარეობა გაუუარესდა, მათგან ექვსს ღრძილების ანთებაც განუვითარდა. მეორე ჯგუფის წარმომადგენლებმა კი ჯანმრთელი კბილები შეინარჩუნეს. მეცნიერთა მოსაზრებით, სტრესის დროს ადამიანები ხშირად კბილებს უჭერენ, რაც ნეგატიურად აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

წყალბადის გასამართი სადგური გახსნეს

იტალიაში პირველი ეკოგასამართი სადგური გაჩნდა, რომელიც ბოლცანოში დააყენეს. გასამართი სადგური დამოუკიდებლად ახდენს წყალბადის გენერირებას ენერგიის აღდგენადი წყაროებისგან და აწარმოებს სუფთა საწვავს ავტობუსებისა და მსუბუქი ავტომობილებისთვის. დღეისთვის აპენინებზე მხოლოდ ათი მსგავსი ავტობუსი დადის და მთელ ევროპაშიც, მათი რიცხვი 80-ზე მეტი არ არის. თუმცა, ბოლცანოს ხელისუფლება ჭეშმარიტი „მწვანე რევოლუციისკენ“ ისწრაფვის და ვარაუდობს, რომ წყალბადის დისტრიბუცია მალე ძალიან პოპულარული გახდება ავტომფლობელებში, გარემოს დაცვა გამონაბოლქვისგან კი ისტორიას ჩაბარდება.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

								4
		5	2	4			6	
3						2	9	
4			7		6		3	
	6		5		9		7	
	2		4		1			6
	5	4						9
	3			7	4	5		
6								

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

			8		5	9	3	
	9			4			2	
								6
					2	8		4
		2	9		1	3		
9		8	5					
6								
	8			2			6	
	7	5	1		6			

ᲠᲗᲣᲚᲘ

	3	7					2	
4			8	7	6			
1								
		6		9			4	2
			2		7			
2	1			4		5		
								6
			3	1	4			8
	2					1	7	

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4		6	9				3	
	5			2				6
		9		6			7	
8		1		7		4		
		2				6		
		5		3		7		1
	6			8		3		
5				4			6	
	3				6	1		8

ჯოკონდას ქვეშ სხვა პორტრეტი აღმოაჩინეს



ფრანგმა სწავლულმა პასკალ კოტმა განაცხადა, რომ ლეონარდო და ვინჩის ცნობილი პორტრეტის „მონა ლიზას“ ქვეშ კიდევ ერთი გამოსახულებაა. მკვლვარის ვერსიით, რომელიც ტილოს 10 წელზე მეტ ხანს იკვლევდა, ჯოკონდას ქვეშ იტალიელი მხატვრის მიერ შექმნილი ნამდვილი სახეა ლიზა გერარდინისა — აბრეშუმით მოვაჭრე ფლორენციელი ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს მეუღლისა. მიიჩნევენ, რომ სწორედ სენიორა ლიზა დახატა ლეონარდომ, თუმცა, ქალის ნამდვილი სახე ტილოს ქვეშ იმალება. პასკალმა და ვინჩის შედევრთან მუშაობის უფლება 2004 წელს მოიპოვა და კვლევებში ფენების გაძლიერების ტექნოლოგიას იყენებდა. ეს მეთოდი ტილოზე, საღებავების ქვეშ არსებული დამატებითი გამოსახულების აღმოჩენის საშუალებას იძლევა.

ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲞᲘᲠᲝᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲜᲫᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ



კოლუმბიის სანაპირო-ოსთან, საპორტო ქალაქ კარტახენას ახლოს, დაახლოებით 300 წლის წინ ჩაძირული გემი „სან-ხოსე“ იპოვეს. ის ესპანეთის მეფე ფელიპე V-ს ეკუთვნოდა, რომელიც 1708 წელს ინგლისურმა ესკადრილიამ ჩაძირა. გემზე ზურმუხტის თვლებით, ასევე ოქროსა და ვერცხლის მონეტებით დატვირთული სკივრები აღმოაჩინეს. აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია თავად კოლუმბიის პრეზიდენტმა სანტოსმა გაავრცელა. როგორც ბრიტანული„ გარდიანი“ წერს, აღმოჩენილი განძის ღირებულება დაახლოებით მილიარდი გირვანქა სტერლინგია (1,5 მილიარდი დოლარი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ

ამერიკელმა სპეციალისტებმა ადამიანის ჯანმრთელობაზე სპორტის სხვადასხვა სახეობის გავლენა შეისწავლეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სიარული — სპორტის ყველაზე ეფექტური და ყველაზე სასარგებლო სახეობაა. სწავლულების თქმით, სიარული ყველასთვის კარგია, გამონაკლისების გარეშე. გამოკვლევისას დადასტურდა, რომ სიარული აუმჯობესებს არტერიულ წნევას, სისხლძარღვებისა და სახსრების მდგომარეობას, ასევე დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

7	1	6	5	3	2	4	9	8
9	5	4	8	7	1	2	6	3
3	2	8	6	4	9	7	1	5
6	9	7	3	5	8	1	2	4
1	4	5	2	9	7	8	3	6
2	8	3	1	6	4	5	7	9
5	7	9	4	2	6	3	8	1
8	3	2	9	1	5	6	4	7
4	6	1	7	8	3	9	5	2

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

9	3	5	7	8	6	1	4	2
1	8	4	5	3	2	9	7	6
7	6	2	4	1	9	5	3	8
4	2	6	9	5	8	7	1	3
8	7	3	1	6	4	2	9	5
5	1	9	3	2	7	8	6	4
6	5	7	2	9	3	4	8	1
3	4	1	8	7	5	6	2	9
2	9	8	6	4	1	3	5	7

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	3	1	6	9	2	8	7	5
6	8	2	1	7	5	4	9	3
9	5	7	4	8	3	6	2	1
1	2	6	5	3	9	7	4	8
8	7	3	2	4	1	9	5	6
5	4	9	8	6	7	3	1	2
3	6	5	9	2	4	1	8	7
7	1	4	3	5	8	2	6	9
2	9	8	7	1	6	5	3	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

4	7	3	9	6	5	8	1	2
1	2	9	4	3	8	7	6	5
8	5	6	2	1	7	9	4	3
9	6	2	8	5	3	1	7	4
7	4	5	1	9	6	3	2	8
3	1	8	7	4	2	5	9	6
6	8	4	3	7	1	2	5	9
5	3	7	6	2	9	4	8	1
2	9	1	5	8	4	6	3	7

მე-10 გვერდი: 1. ბარიბალი; 2. აკლიმატიზაცია; 3. იამამოტო; 4. აფიქსი; 5. ტარაკანი; 6. ალაფი; 7. აბაკა; 8. აბანო; 9. პლომბირი; 10. მამაი; 11. აზიმუტი; 12. სამუმი; 13. სარაფანი; 14. ცვილი; 15. ტუია; 16. ანოტაცია; 17. არიზონა; 18. კიჭი; 19. შტატი; 20. ანეროიდი; 21. ლიახვი; 22. ნარა; 23. ადიტი; 24. რეკეტი; 25. აბლაბუდა; 26. ბანდერილიერო; 27. უზი; 28. ანუ; 29. ბმო; 30. ბოსერონი; 31. ნაქუჩი; 32. ლიანა; 33. პიაფი; 34. აბატი; 35. ლიე; 36. კომო; 37. ანა; 38. ცხენი; 39. აარე; 40. ილია; 41. ლირი; 42. რუბლი; 43. საქსონია; 44. ქუჩი; 45. იდეა; 46. ხორცი; 47. ტიტა; 48. რიო; 49. ფხა; 50. ალია; 51. იბიცა; 52. იუმორი; 53. ჩადი; 54. ფრონე; 55. ორდენი; 56. სე; 57. მარკ; 58. დიოდი; 59. რაიტი; 60. ია; 61. ყია; 62. ემუ; 63. კრამსკოი; 64. ინდი.

მე-12 გვერდი: 1. ფრონტი; 2. რეკვიემი; 3. ნინია; 4. ურანია; 5. რიწა; 6. ნიაგარა; 7. სკუნსი; 8. მნემოსინე; 9. გიტარა; 10. მწვანე; 11. ბახმარო; 12. ქირურგია; 13. იმაგო; 14. ბაქო; 15. აზია; 16. ნეი; 17. ოდინი; 18. ომეგა; 19. მესტია; 20. არესი; 21. ზვარი 22. მის; 23. ამერიგო ვესპუჩი; 24. ელსინორი; 25. მარო; 26. ხარი; 27. ორხაო; 28. სკა; 29. მარკა; 30. კარგო; 31. ოიდიპოსი; 32. სია; 33. ეოსი; 34. რიონი; 35. ეკუმენიზმი; 36. აის; 37. რა; 38. აკრა; 39. რიანა; 40. დოსიე; 41. ბია; 42. იონი; 43. ოკეი; 44. სიტროენი; 45. დაგერი; 46. გაგარინი; 47. ირაო; 48. კაი; 49. მარაო; 50. ირიბი; 51. ამალგამა; 52. მთიები; 53. დაშნაკი; 54. თვალი; 55. პიტ; 56. „უდინეზე“; 57. ალმავივა; 58. ბის; 59. ბიკინი; 60. ორსე; 61. თიმფუ; 62. „სილფიდა“; 63. ასა; 64. რაი; 65. ლეი; 66. ემი; 67. ალტი; 68. იდეა; 69. ნოე; 70. დილოგია; 71. იაპეტი; 72. უდე; 73. გაბო’ 74. დუმილი; 75. ბაო; 76. რაკია; 77. ზაირი; 78. მე; 79. ბოჩი; 80. ოჩოკოჩი; 81. ენა; 82. სე; 83. ატა; 84. დაჩი; 85. ჩხა; 86. მარაბდა; 87. ესაძე; 88. კოდაი; 89. იკაო; 90. ატოლი.

ᲬᲐᲛᲐᲚᲘ ᲙᲘᲭᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

რუსმა სწავლულებმა შეიმუშავეს პრეპარატი, რომელიც, მათი მტკიცებით, ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტებს დაეხმარება. ახალ წამალს ბევაციზუმაბი უწოდეს. სიახლის ავტორები ამტკიცებენ, რომ პრეპარატს შეუძლია კიბოს ბოლო სტადიის მქონე ავადმყოფს სიცოცხლე ორი წლით გაუხანგრძლივოს. წამალი უკვე დაამტკიცა ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტრომ და მომავალი წლიდან საავადმყოფოებს მოამარაგებენ. ბევაციზუმაბი შვეიცარიელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული პრეპარატის ანალოგიურია, თუმცა, მისი ფასი გაცილებით დაბალია. ერთი შეფუთვა დაახლოებით 845 ევრო ღირს. გასულ წელს რუსეთმა ამ პრეპარატის შესყიდვაზე შვიცარიაში 43 მილიონი ევრო დახარჯა.

1. დიდი ზომის ფოთოლმცვივანი ხე
2. კომპიუტერული პროგრამა
3. პერის მცხობელი
4. ფილტვების მფარავი აპკი
5. ქალაქ ბოლონიის ყოფილი სახელწოდება
6. პატარა კენგურუ
7. გასვენებაზე შორიდან მოს. ჭირისუფლების მხლებლები
8. ე. წ. „მდოგვის გაზი“
9. თოვლის ჯიქი
10. კუჭის წვენში მარილმჟავას უქონლობა
11. პეტრარკას სატრფო
12. განის დედაქალაქი
13. პილიგრიმობა მექაში
14. კუნძული, სადაც პირველად გადასხლეს ნაპოლეონი
15. მარცვლეული კულტურების ნათესი
16. გამოუწვავი აგური
17. გეიშას მოწაფე
18. ჯუჯა კამეჩი
19. პატარა ტიკი
20. ყველაზე გავრცელებული ვირუსული დაავადება
21. ზღვის პატარა ყურე
22. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
23. მდინარე ვოლგის სახელწოდება შუა საუკუნ.
24. პოეტის შთაგონების წყარო
25. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
26. ნირი, ხასიათი
27. გაზ. გამგრ. სასმელი
28. ნიუ-იორკის საოპერო თეატრი
29. ახალი ტანსაცმელი ბავშვის ენაზე
30. ჯუჯა-სახელმწიფო წყნარ ოკეანეში
31. კორეული ავტომარკა
32. სპორტული ნაწარმის ფირმა
33. ფიზიკის ნაწილი, სწავლობს სინათლეს
34. ისტორიის მუზა
35. თურქმენეთის დედაქალაქი
36. სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში
37. პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი
38. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული
39. ბანქოს ფიგურა
40. მადრიდის მუზეუმი
41. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
42. ჩვილი ბავშვის საკვები
43. ნაბოკოვის რომანი
44. ჰოლივუდის მსახიობი რასელ ...
45. ქლიავის ჯიში
46. კანადის ყველაზე გრძელი მდინარე
47. შვედი მოჭადრაკე ... კრამლინგი
48. ლატვიის დედაქალაქი
49. (ძვ.) ხუთკაპიკიანი მონეტა
50. ფეხბურთელ ბლოხინის სახელი
51. პეტერბურგის ბაღი „მგზავრის წერილებში“
52. იაპონელთა ჯიბის ყუთი
53. პატარა ხანჯალი სამწახნაგოვანი პირით
54. ფლობერის რომანი „... ბოვარი“
55. თომას ედისონის მიერ მოწოდებული „სატელეფონო სიტყვა“
56. მასონთა საზოგადოების განყოფილება
57. წამლის ბურთულა
58. მოჭრილი და ტოტებგაცლილი მსხვილი ხე
59. სოფელი ახმეტის რაიონში
60. ლიტერატურის ჟანრი
61. ჭ. ამირეჯიბის რომანი „... თუთაშხია“
62. ეკლიანი ბალახი
63. ისრაელის წარმოების წყლის გამაცხელებელი
64. მოწოდება ლოცვისაკენ მუსლიმანებში
65. ბამბუკის დათვი
66. კოვბოის ქამანდი
67. პარიზის ერთ-ერთი მუზეუმი
68. შეჩერდი! - საგზაო ნიშნებზე
69. გადაშენებული მორბენალი ფრინველი
70. ყველაზე მსხვილი სისხლძარღვი
71. შეძ. კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
72. თმის პათოლოგიური ცვენა
73. ნოემბერი ქართული წარმართული კალენდრით
74. სარწყა-ვად გაჭრილი პატარა არხი
75. საქონლის შესაფუთავი მასალა
76. თუთიყუშის ჯიში
77. სამოას დედაქალაქი
78. კედლის ჭაღი
79. შლიმანის მიერ აღმოჩენილი ანტიკური ქალაქი
80. ღამის ფრინველი
81. ღამის საპირისპირო სიტყვა
82. სკანდინავიური მითოლოგიის უზენაესი ღმერთი
83. ძვ. ფრანგული ხურდა ფული
84. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
85. ლორწოვანი გარსის ანთება
86. ოტია ... დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან

მდინარიდან მთელი ქონება ამოიღო

ავსტრიელი სამართალდამცავები საკმაოდ უცნაურ ინციდენტს იკვლევენ, რომელიც ვენაში, მდინარე დუნაის სანაპიროზე მოხდა. თვითმკვლელობის სავარაუდო მცდელობისთვის გამოძახებულმა სამართალდამცავებმა ადგილზე მოზარდი აღმოაჩინეს, რომელიც ნაპირზე გასაშრობად 100 და 500-ევროიანებს ფენდა. პოლიცია თვითმხილველებმა გამოიძახეს, რომელთაც დაინახეს, როგორც გადაეშვა წყალში ბიჭი — ჩანს, მან პირველმა შეამჩნია, როგორც მოჰქონდა მდინარეს კუპიურები. გადათვლისას საკმაოდ დიდი თანხა — 100 ათასი ევრო აღმოჩნდა. თავიდან ფული ყალბი ეგონათ, მაგრამ შემოწმებისას ნამდვილი გამოდგა. ავსტრიული კანონების მიხედვით, მპოვნელი მთელი თანხის 5-დან 10%-მდე მიიღებს. საინტერესოა ისიც, რომ ამხელა თანხის დაკარგვის თაობაზე პოლიციაში არავის განუცხადებია.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.